


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინც ბეჭდ-
უძი სიფყვას, ცუდილებით და ჭბებით ბუტ-
თის გაფანა ყველა უჯანდისბაჭე უსამაგლესია.



შაბათი, 4 ნოემბერი. 2017 წ. №226 (8363), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველოს პარლამენტში პარტიებს მაღა გაეხსნათ

- ბიუჯეტიდან დასაფინანსებლად
3 პროცენტის შეგროვებას არ უნდათ



**გასული
საპარლამენტო
არჩევნების
შემდეგ
ბიუჯეტიდან
11-ის
ნაცვლად
20 პარტია
იკვებება**

სახელმწიფო ბიუჯეტი 12 მილიარდ 403 მილიონი ლარით განისაზღვრა

მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 12 მილი-
არდ 403 მილიონი ლარით განისაზღვრა.
2018 წლის ფინანსურ დოკუმენტზე გუშინ პარ-
ლამენტის პლენარულ სხდომაზე იმსჯელეს. დოკუმ-
ენტი დეტალურად დიმიტრი ქუძისიშვილმა წარუდ-
გინა. საპარლამენტო უმრავლესობის განმარტებით,
ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებულია და თან-
ხების ხარჯვა ძირითადად სოციალურ პროგრამებ-
ზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და განათ-
ლების სისტემის რეფორმირებისთვის ხდება. დო-
კუმენტი 4.5-პროცენტით ეკონომიკური ზრდის
მიხედვითაა დაგეგმილი. საბიუჯეტო დეფიციტი კი
3%-ზეა გათვლილი.
„გადამუშავებული ვერსია ითვალისწინებს ასიგ-
ნებებს 12 მილიარდ 403 მილიონით. ეს იქნება ხარჯ-
ვა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის. პრაქტიკულად,
ეს არის 987 მილიონით მეტი, ვიდრე სახელმწიფო ბი-
უჯეტით 2017 წელს გვაქვს დაგეგმილი. ეს ნიშნავს, რომ
მთლიანი შიდა პროდუქტი 2018 წელს გაიზარდება 4.5%-
ით“, - განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

2019 და 2020 წლებში პენსიები ინდექსაციის პეტიციით 20-20 ლარით გაიზარდება

„ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 2019 წელს
და 2020 წელს, ინდექსაციის მეთოდით, პენსიები 20-
20 ლარით გაიზარდოს“, - განაცხადა პირველმა ვი-
ცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუძ-
ისიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გა-
მოსვლისას. პირველმა ვიცე-პრემიერმა ასევე ისა-
უბრა საპენსიო რეფორმასა და პენსიების ინდექ-
საციაზე. შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტ-
ში განსახილველად უახლოეს პერიოდში შევა.
„ძალიან მაღელ პარლამენტში შემოვა კანონი საპენ-
სიო რეფორმასთან დაკავშირებით და აღნიშნულ კა-
ნონში იქნება საბაზისო პენსიაზე ინდექსაციის ჩანა-
წერი“, - განაცხადა დიმიტრი ქუძისიშვილმა.

**რატომ ვდგავართ
წვიმაში?!
გებრძოლის
სინდრომი ④**

**ეს აქლავი
თბილისის
ქუჩებშიც
ღაირიქებს... ⑧**

ღღის ამოქაზურიდან
- ამ
ყაჩაღანა
„ძველ
ბიჭს“
ელენე ხო-
შტარიას უნ-
დოდა, რომ
მერი ხოშტა-
რია გამხდა-
რიყო, მაგრამ ამომრჩეველ-
მა ნათლობის ძველი სახელი
დაუტოვა!..



**უნდა იყოს თუ არა ③
საქართველოში გზით
სარგებლობა ფასიანი?**

**ტაბანური ეპროკული ⑥
ღირებულებებიდან
ასე ახლოს და ასე შორს...**

**⑦ კაცს სახელი აცოცხლავს
ელეგანტურად მჭევრმეტყველი**



„უბალ სიკვდილი, პიღრა უმსირესი ლაქა“ ⑨



ჯემალ
კუსალაშვილი

რის საფუძველს ქმნის 2018 წლის ბიუჯეტი?

2018 წლის ბიუჯეტი ქმნის მყარ საფუძველს, შესრულდეს მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმით გათვალისწინებული რეფორმები, – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგინებისას. მისი თქმით, ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი ორიენტირებულია ეკონომიკური ზრდის დაჩქარებასა და ქვეყნის მშენებლობაზე.

„ჩვენ თანამედვერულად განვაგრძობთ იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც საზოგადოებას წარვუდგინეთ 2016 წლის ბოლოს, მიმდინარე 2017 წლის ბიუჯეტის წარდგინებისას. ამ პოლიტიკის მიზანია, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა“...

საქსპორტო პოტენციალი აგაღდა

დიმიტრი ქუმსიშვილმა მენარმეობის ხელშეწყობა პროგრამებზეც გაამახვილა ყურადღება. მისი განცხადებით, ისეთი პროგრამის ფარგლებში, როგორცაა „ანარმოე საქართველოში“, ასობით ახალმა სანარმოო დაინერგო ფუნქციონირება, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის საქსპორტო პოტენციალის ამაღლებაში და იმპორტის ჩანაცვლების პროცესში.

„უმნიშვნელოვანესია ის აგრძობის რეგისტრები, რომლებიც ორიენტირებულია ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციის საქსპორტო პოტენციალის ზრდაზე“.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის და ექსპორტის წახალისების მიზნით უნდა აღინიშნოს UNESCO-ს მიერ „ქვეყნის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდის“ აღიარება მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად. გარდა ამისა, დიმიტრი ქუმსიშვილმა დადებითად შეაფასა საქართველოს მონაწილეობა საფრანგეთის ქალაქ ბორდოში მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლის ფარგლებში ღვინის მუზეუმის საპატიო მასპინძლად, სადაც ქართული ქვეყნიდან განთავსდა მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციაში. „ეს იყო აღიარება ქართული ღვინის უნიკალურობისა, რაც ქართული ღვინის ექსპორტის ზრდისთვის უდავოდ მნიშვნელოვანი გარემოებაა. ქართული ღვინის ასეთი აღიარება ახალ პერსპექტივებს უხსნის მას საერთაშორისო ბაზარზე“, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

პირველმა ვიცე-პრემიერმა ასევე ისაუბრა საქართველოს საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ პროგრამებზე. კერძოდ, ევროკომისიის მიერ ინიცირებული იქნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ინტერუმენტი, რომელიც, პრაქტიკულად, იმეორებს იმ მიდგომებს, რომელიც საქართველომ დანერგა „ანარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში. „ეს არის ჩვენი მიერ შექმნილი მენარმეობის მხარდაჭერის პროგრამების აღიარება“.

ფიზიკურ პირებს სსსპ-ში ლარიზაცია 54 პროცენტით შეაღონა

ლარიზაციის რეფორმამ სხვა არანაკლებ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებთან ერთად, მინიმუმამდე უნდა შეამციროს თითოეული ჩვენი მოქალაქის დამოკიდებულება საგარეო ეკონომიკურ შოკებზე, უნდა გაზარდოს მათი დანაზოგები და ქვეყნის განვითარებას შეუწყოს ხელი, – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

„ბოლო დღეებში, ერთ-ერთი მთავარი თემა საჯარო ბაზარზე არსებული ვითარება. ლარის კურსი უცხოური ვალუტების მიმართ და მისი მსყიდველობითი უნარი მეტ მანუშებს. მანუშებს, როგორც საქართველოს თითოეულ მოქალაქეს და, პირველ რიგში, მანუშებს, როგორც საქართველოს მთავრობის წევრს, რადგან ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა, სწორედ მთავრობის პასუხისმგებლობაა, სწორედ ამიტომ, ეს პასუხისმგებლობა მავალდებულებს ჩვენი მოქალაქეებს ავუხსნა, რომ ასეთი მდგომარეობა – საჯარო ბაზარზე კურსის თუნდაც მოკლევადიანი რყევების გამო, ბევრისთვის განკარგადი შემოსავლის ხელშეწყობის შემცირება, გაგრძელდება მანამდე, ვიდრე მაღალია დოლარიზაციის გავლენა ჩვენს ეკონომიკაზე. სწორედ ესაა ამ პრობლემის მთავარი საფუძველი“, – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა. მისი თქმით, საქართველოს



მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად შეიმუშავა ლარიზაციის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულების შემცირებას, რათა მოიხსნას აღნიშნული პრობლემა და შოკის მიმართ გამძლეობა გაიზარდოს.

პირველმა ვიცე-პრემიერმა ისაუბრა ლარიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება გაზრდის ლარიზაციის მაჩვენებელს.

2021 წლამდე პოლიტიკური თანამდებობის პირების სელფსაისის ზრდა შეზღუდულია

ეს განცხადება, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა გააკეთა. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, თანამდებობის პირების სელფსაისი 2021 წლისთვის ის იქნება, რაც წელსაა.

„რაც შეეხება პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, ეს ზუსტად ვიცი, რომ 2021 წლამდე პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის შეზღუდულია სელფსაისის ზრდა, ანუ რაც წელს გვექნება, ის ექნება 2021 წლისთვის პოლიტიკური თანამდებობის პირებს. მხოლოდ 2021 წლიდან იქნება შესაძლებელი ის, რომ მათ აუზოქმედეთ კოეფიციენტები“, – განაცხადა ქუმსიშვილმა.



საქართველოს პრემიერდენტი გიორგი მარგველაშვილი ქართველ დიპლომატებს პროფესიულ დღესასწაულს ულოცავს: „გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს“

ქართველი დიპლომატის პროფესიული დღე

უღეს – ქართველი დიპლომატის დღეს! ეს თარიღი განსაკუთრებულია ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, რადგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის სუვერენიტეტს.

სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან დღემდე ჩვენმა ქვეყანამ არაერთ საერთაშორისო წარმატებას მიაღწია, რაც ქართული დიპლომატიის დამსახურებაა. უვიზო მიმოსვლა და თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, ასოციაციის შეთანხმება, თანამშრომლობის ახალი საერთაშორისო პროექტები, ხელშეკრულებები – ყველა ამ წარმატებაში განუზომელია ქართველი დიპლომატიის წვლილი და ძალისხმევა. ჩვენ შევძელით, საქართველო გამხდეს-

რიყო არამხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვანი წევრი, არამედ ყოფილიყო უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ფუნქციით აღჭურვილი სახელმწიფო, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ხალხებს, რეგიონებსა და კონტინენტებს.

ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად ქართული დიპლომატია დღეს ურთულეს ბრძოლაშია ჩაბმული, სადაც ჩვენი მონაწილეობა იხდის მნიშვნელოვან როლს, როგორც არის რუსეთის ფედერაცია. ამ მიმე პაექრობაში ჩვენ შთამბეჭდავ წარმატებას მივაღწიეთ: კონსოლიდირებული ძალების მხარდა და საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით სრულიად ჩაიშალა ოკუპირებული ტერიტორიების

დამოუკიდებელ ქვეყნებზე აღიარების გეგმა და ერთმნიშვნელოვნად შეუქცევადი გახდა ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა. ამასთან ყოველწლიურად იზრდება გაეროში დევნილთა და ლტოლვილთა უპირობო და ღირსეული დაბრუნების შესახებ რეზოლუციის მომხრე სახელმწიფოთა რაოდენობა.

სიმბოლურია, რომ დღევანდელი დღე უკავშირდება უდიდესი საზოგადო მოღვაწისა და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი დიპლომატის სულხან-საბა ორბელიანის სახელს, რომელმაც ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ნათლად გამოკვეთა ჩვენი დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის ღირებულებები და ევროპული ვექტორი.

ძალიან მძიმეა მეტროს სადგურებში არსებული სიტუაცია!

თბილისის არჩეული მერი გუშინ დილიდან მეტროში იმყოფებოდა. კახა კალაძე „გურამიშვილის“ სადგურზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო და მოქალაქეებთან ერთად იმეზავრა. მეტროპოლიტენში არსებული მდგომარეობა დაათვალისწინებდა მისი გუნდის წევრებმაც. კახა კალაძის ინფორმაციით, იმისთვის, რომ მოხდეს მეტროსადგურის რეაბილიტაცია, დედაქალაქის ბიუჯეტიდან მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. კალაძის თქმით, სატრანსპორტო პრობლემების მოგვარება, მისი მერობის პერიოდში პრიორიტეტი იქნება.

„ვხედავთ რა მდგომარეობაა მეტროსადგურზე, სადაც არის მოსაცდელი. ძალიან მძიმეა არსებული სიტუაცია, საჭიროებს რეაბილიტაციას. ზოგადად ყველა მეტროსადგურის რეაბილიტაცია არის მნიშვნელოვანი. არის სამი ძირითადი მიმართულება, ეს არის თვითონ მეტროსადგურების რეაბილიტაცია, არის ვაგონების რეაბილიტაციის აუცილებლობა ან შეიძლება ვიფიქროთ, ახალი ევროპული ტიპის ვაგონების შემოყვანაზე, რომელსაც ექნება 50-წლიანი გარანტია და მესამე, ეს არის კომუნიკაციები, ელექტროგაყვანილობა“, – განაცხადა კახა კალაძემ.



ტრაპიკა ავტომაგისტრალზე

ზუზდიდი-ცაიშის ავტომაგისტრალზე მოხდის გაჩერებულ ტრაილერს დაეჯახა, რის შედეგადაც მოპედის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიება 276-ე მუხლით დაწყდა. გზის ამ მონაკვეთზე გუშინდელ დღე ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რა დროსაც ზუზდიდის გამგებლის მოადგილე თამაზ შორყოლიანი დაიღუპა, სამი ადამიანი კი დაშავდა.

„ქართული ოცნება“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თამაზ შორყოლიანის ტრაგიკული გარდაცვალების გამო

პარტიამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ზუზდიდის საკრებულოს ახლადარჩეული წევრის თამაზ შორყოლიანის ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

„თამაზ შორყოლიანის სახით ქვეყანამ საზოგადოების ღირსეული წევრი დაკარგა. სამძიმარს ვუცხადებთ თამაზ შორყოლიანის ოჯახის წევრებს, მის ახლობლებსა და მეგობრებს“, – ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



საქართველო ნატოს სომალდებს მასპინძლობს

საქართველოში ტერიტორიულ წყლებში, საპორტო ვიზიტით, ნატოს მუდმივობიერ მეთორე ნაღმსანინაღმდეგო შენაერთის საფლაგმანო სომალდი „REGELE FERDINAND“ და ნატოს საზღვაო შენაერთის თურქეთის დროშის ქვეშ მცურავი სომალდი შემოვიდა. ბათუმის პორტს ალიანსის სხვადასხვა წევრი ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი კიდევ 2 სომალდი ეწვია.

ვიზიტს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოში ბულგარეთის საელჩო მასპინძლობს.

დელეგაციას ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების (MARCOM) სარდლის მოადგილე, ვიცე-ადმირალი ერვი ბლეჟონი ხელმძღვანელობს. დელეგაციის წევრები საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრსაც ეწვივნენ.

გამართება პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი; ნატოს საზღვაო ძალების სარდლის მოადგილე, ვიცე-ადმირალი ერვი ბლეჟონი; საქართველოში ნატოს სამეცნიერო ოფისის უფროსის მოადგილე როსარია პუგლისი და ნატოს ნაღმსანინაღმდეგო სომალდების შენაერთის მეთაური ჯასტინ ჰენისი.

ვიზიტი წარმოადგენს ნატოს სწრაფი რეაგირების (NRF) საზღვაო კომპონენტს. 2014 წლიდან ნატოს საზღვაო ძალების სარდლობაში, მეცნიერე ოფიცრის სახით, მივლენილია შს-ს საზღვაო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელი.

ზურაბ პატარაძემ ნატოს სამხედრო გეგმის პიპაჟის წევრობთან შეხვედრა გამართა

ბჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძემ ქალაქ ბათუმის მერთან გიორგი ერმაკოვთან და აჭარის მთავრობის წევრებთან ერთად ნატოს სამხედრო საზღვაო ჯგუფში შემავალი გემების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრას ნატოს სამხედრო გემების ეკიპაჟის წევრებთან ერთად ნატოს მუდ-



მიგმოქმედი მეთორე ნაღმსანინაღმდეგო შენაერთი (SNMCMG2) კომანდერი, მეთორე რანგის კაპიტანი ჯასტინ ჰენისი და ბულგარეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში დესისლავა ივანოვა ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე საქართველოსა და ნატოს შორის არსებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს, რომელიც წლებია აქტიურად მიმდინარეობს.

ახალგორში საბაჟოს ბასსნაზე საუბარი არ შეიძლება იყოს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, ოკუპირებულ ახალგორში ე.წ. საბაჟო პუნქტის გახსნაზე საუბარი არ შეიძლება იყოს. მისი განმარტება

ბით, საბაჟოები სახელმწიფოებს შორის იქმნება. „სახელმწიფო საზღვარი ჩვენ გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან და ბუნებრივია, არ შეიძლება იყოს საუბარი არანაირ საბაჟო გამშვებ პუნქტზე. ეს საფრთხეს უქმნის და ზღუდავს იქ მცხოვრები ადამიანების ფუნდამენტურ უფლებას თავისუფალ გადაადგილებაზე და არის კიდევ ერთი მცდელობა რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რომ ოკუპირებული ტერიტორიები მოაქციოს თავისი ეკონომიკური გავლენის ქვეშ. ჩვენ გვსურს, რაც შეიძლება თავისუფალი იყოს გადაადგილება ამ ტერიტორიებთან და ჩვენი მხრივ, ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ“, – განაცხადა ზალკალიანმა.

„სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოდან შესული ტვირთების აღრიცხვას ახალგორთან აპირებს. ამის შესახებ „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ადმინისტრაციის ოფიციალურ გვერდზეა ნათქვამი.

გიორგი მღებრიშვილი ვიცე-ადმირალ ერვი ბლეჟონს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ, ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების (MARCOM) სარდლის მოადგილეს ვიცე-ადმირალ ერვი ბლეჟონს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ნატო-საქართველოს შორის საზღვაო სფეროში არსებულ ორმხრივ ურთიერთობებსა და თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებზე ისაუბრეს.

განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოს შს სამინისტროს საზღვაო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მონაწილეობა ნატოს ოპერაცია „ზღვის მცველში“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვასა და მის მიმდებარე საზღვაო სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფა.



საქართველოში გზით სარგებლობა მხოლოდ ტრანზიტული სატრანსპორტო საშუალებებისთვის არის ფასიანი, ხოლო მსუბუქი ავტომობილებისთვის და შიდა გადაზიდვებისთვის უფასოა, თუმცა ჯერჯერობით. ხელისუფლება გზით სარგებლობის გადასახადის დაწესებაზე უკვე მუშაობს და ამ ეტაპზე სპეციალურ კვლევებს ატარებს. სპეციალისტები კი აცხადებენ, რომ ასეთი მოსაკრებელი უნდა არსებობდეს, თუმცა მხოლოდ მაშინ, თუ ალტერნატიული გზაც იარსებებს.

გარკვეულ მონაკვეთებზე გზით სარგებლობაზე სპეციალური მოსაკრებლის დაწესებაზე საუბარი მაშინ დაიწყო, როდესაც რიკოთის ჩქაროსნული მაგისტრალის აშენების გადაწყვეტილება მიიღეს. მაშინ ფინანსთა ყოფილი მინისტრი ნოდარ ხადურია აცხადებდა, რომ რომელიმე კონკრეტული გზა იმ შემთხვევაში იქნებოდა ფასიანი, თუ ალტერნატიული გზები იარსებებდა. მოგვიანებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ რიკოთის ალტერნატიული გზა, კერძოდ, ჩუმათელეთი-ზესტაფონის მონაკვეთი ფასიანი უნდა იყოს.

ამასთან, რამდენიმე დღის წინ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სიმონიძემ „კომერსანტთან“ საუბარში აღნიშნა, რომ გზით სარგებლობაზე გადასახადის დაწესების საკითხზე სპეციალური ჯგუფი მუშაობს.

„ამ ეტაპზე ფასიან გზებზე საუბარი არ არის. კვლევები მიმდინარეობს, ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ეს კვლევები გარკვეული მონაკვეთის ფასიანად გადაკეთების პერსპექტივას არ გულისხმობს. რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერი არ არის, თუმცა წინასწარი მონაცემებით, ჩვენ მივიღებთ იქითკენ, რომ ზოგადად საქართველოში ცალკეული მონაკვეთები ფასიანი არ უნდა იყოს და გზათა სარგებლობის გადასახადი სხვა ტიპის უნდა იყოს. თუ რა ტიპის, ამას რამდენიმე კომპეტენტური ორგანიზაცია იკვლევს“, – აცხადებს სეთორიძე.

უნდა იყოს თუ არა ქვეყანაში გზით



უნდა იყოს თუ არა საქართველოში გზით სარგებლობა ფასიანი?

სარგებლობა ფასიანი და ამასთან, როგორია საერთაშორისო პრაქტიკა? როგორც „კომერსანტს“ სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის დამფუძნებელმა პაატა ცაბარაიშვილმა განუცხადა, ფასიანი გზის არსებობა გამოთვლილია მხოლოდ ალტერნატიული გზის არსებობის შემთხვევაში.

„თუ გზა აშენდება კერძო ინვესტიციით, მასზე გადასახადის დაწესება ჩვეულებრივი მოვლენაა, რათა გზაზე დახარჯული თანხის ამოღება მოხდეს. თუმცა აუცილებელი პირობაა, რომ ასეთ გზას ალტერნატივა გააჩნდეს. შეიძლება ალტერნატიული გზა დაბალი ხარისხის იყოს, უფრო გრძელი, მაგრამ აუცილებელია უნდა იყოს. ნებისმიერ პირობებში უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება, უფასოდ იმგზავროს თუ ფასიანი გზით. მაგალითად, რიკოთის ჩქაროსნული მაგისტრალი შენაღმებელია, იყოს ფასიანი, თუკი მისი ალტერნატიული გზა იარსებებს“, – აცხადებს ცაბარაიშვილი.

მისივე თქმით, ქვეყანაში ინფრასტრუქტურით სარგებლობის გადასახადი 200 ლარს შეადგენს და აღნიშნულ გადასახადს მხოლოდ ტრანზიტულად მოძრავი სატვირთო ავტომობილები ის-

დიან: „ეს წესი დაახლოებით ათი წელია, მოქმედებს. თუმცა ზოგადად გზით სარგებლობა ფასიანი თუ იქნება, ეს დროული და აუცილებელია“.

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას, მისი თქმით, ევროპის ქვეყნებში გზით სარგებლობაზე სპეციალური მოსაკრებელი არის დაწესებული და ასეთი პრაქტიკა საქართველოშიც უნდა დაინერგოს.

„მეზობელ ქვეყნებს, მაგალითად, სომხეთს ფასიანი გზები არა აქვს. თურქეთში კი ზოგიერთი ხიდის გავლაც კი ფასიანია. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, მათ გზით სარგებლობაზე გადასახადის სხვადასხვა მეთოდები აქვთ დაწესებული. მაგალითად, გერმანიაში თუ სატვირთო ავტომობილი ეკოლოგიურად სუფთაა და „ევრო 6“-ის სტანდარტის, შედარებით ნაკლებ გადასახადს იხდის. თუ უფრო დაბალი კატეგორიის არის, ანუ „ევრო 3“-ის სტანდარტის, მეტ გადასახადს იხდის. ეკოლოგიურ ასპექტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეთმობა. ცენტრალური ევროპის ქვეყნებში – სლოვაკეთში, ჩეხეთში, ბულგარეთში, ხორვატიაში, როგორც კი შედისარ, საზღვარზევე იხდი გარკვეულ თანხას და ქვეყნის მასშტაბით დაუბ-

რკობლად მოძრაობ. ასე რომ, ნებისმიერი ქვეყანა თავის პოლიტიკას თავად განსაზღვრავს. ჩვენც თუ გვინდა ცივილიზებულ სამყაროს წევრები ვიყოთ და ინფრასტრუქტურა ყოველთვის გამართული გვექნება, გზით სარგებლობაზე გადასახადი უნდა დავანესოთ, ეს აუცილებელია“, – აღნიშნავს პაატა ცაბარაიშვილი.

ქვეყანაში გზით სარგებლობაზე გადასახადის დაწესებაზე საუბრობს საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელი დავით მისინიშვილიც, რომელიც ასევე აცხადებს, რომ ალტერნატიული გზის გარეშე, ჩქაროსნულ მაგისტრალზე გადასახადის დაწესება გაუმართლებელი იქნება.

„ტრანზიტული ავტომანქანებისთვის გადასახადი უნდა არსებობდეს. ევროპულ ქვეყნებში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მძიმე სატვირთო სატრანსპორტო საშუალებები გზის საფარს მეტად აზიანებენ. გადასახადიდან ალბებში თანხები გზის შენახვას ხმარდება. რაც შეეხება შიდა ტრანსპორტირებას, ეს საკითხი არაერთხელ წამოიჭრა. ჩემი აზრით, ამის განხილვა შეგვიძლია დავინყოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩქაროსნული ავტომანქანის პარალელურად გვექნება სხვა გზა, რომლითაც უფასო მგზავრობა შეგვეძლება. შეიძლება ეს გზა მთლიანად არ იყოს ფასიანი და გადასახადი მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთებზე დაწესდეს“, – აღნიშნავს მისინიშვილი. მისი თქმით, თუ გზით სარგებლობა ფასიანი გახდა ალტერნატიული გზის არარსებობის ფონზე, ამან შესაძლოა, პროდუქცია გააძვიროს.

გზით სარგებლობაზე გადასახადის არსებობის გამოცდილება ქვეყანას ჰქონდა, როდესაც რიკოთის გვირაბი ფასიანი იყო: „ეს პრაქტიკა ახალი არ არის. როცა რიკოთის გვირაბი ფასიანი იყო, ვისაც გადასახადის საშუალება არ ჰქონდა, უფლები უფლები შეემოგვლით გზით სარგებლობდა. მომავალშიც ასე უნდა იყოს, ვისაც უნდა, რომ სწრაფად გაიაროს, ფული უნდა გადაიხადოს და ის გადახადილი თანხა, გზის ექსპლუატაციის მოხმარდეს“.

თიონა კანჭიაშვილი

„ვიეტნამის სინდრომი“, „აფლანური სინდრომი“, „აფხაზეთის სინდრომი“ და კიდევ მრავალი სხვა, რაც როგორც განმარტება დამკვიდრდა იმ ხალხთან მიმართებაში, რომ იბრძოდნენ და არა აქვს მნიშვნელობა, გამომარჯვებს თუ არა. ეს სინდრომი დაემართა ყველას, ვისაც ოდნავ, რაიმე ფორმით ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია.

ბისმარკის ფრაზა – რევოლუციებს გენიოსები ამზადებენ, ფანატიკოსები ახორციელებენ, ხოლო შედეგებით ვიგინდარები სარგებლობენ – ზუსტად მიესადაგება იმ ქართულ რეალობას, რომელიც უკვე თითქმის 30 წელიწადია რომ გრძელდება.

სწორედ ეს ფორმულა არის იმ სინდრომის უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტობრივად ქართველი საზოგადოების სოციალურად აქტიურ ნაწილში რომ არის გამჯდარი და ყველანაირად ხელს უშლის ნორმალური, დემოკრატიული, ცივილიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

„წვიმაში ტყუილად ვიდექი?!“ ეს ფრაზა, რომელიც ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაჩნდა, სრულად ახასიათებს იმ ქართულ მენტალიტეტს, რომლითაც ნათლად ჩანს, რომ თუ შენ ეროვნულ მოძრაობაში იყავი, თუ შენ შევარდნაძეზე სადღაც რაღაც ცუდი თქვი, თუ შენ მიშას დროს „ნამალზე“ დაგიჭირეს, თუ შენ კალაძეს ხმა მიეცი, უფლება გაქვს მოითხოვო. უფლება გაქვს მოითხოვო, რომ რაღაცის უნფროსად („ნ“ კორექტურა არ არის) დაგინიშონ. უფლება გაქვს სულ მცირე, იმ „წვიმაში დგომის“ ფინანსურ ანაზღაურებაზე განაცხადო პრეტენზია.

არადა, საინტერესოა, თუ რა არის ამ მოთხოვნის რეალური მიზეზი.

მიზეზი კი ის არის, რომ შენ იმ „წვიმაში“ სამშობლოსთვის, მომავლისთვის, შვილებისთვის კი არ იდექი, არამედ ფულისთვის, რომლის „მოლუნვის“ სურვილი გაქვს. არაფრის კეთება არ შეგიძლია და აი იოლი გზა – „წვიმაში დადგები“, პლაკატს გააკრავ და ტაში.

– ამ ხალხს რომ ვუყურებ, დათა თუთაშხიას და მენისქვილე ბონიას დიალოგი მახსენდება.

– ცოცხალს მჭირია ფული მე... –

შენთვის გინდა ის ფული, შენი გოგონები არაფერ შუაში არიან, მარა იმდენი ხარბი არ ხარ, რომ სიფათში ჩაიგდო თავი... შენ რომ გიყურებ ბონია, არც შენი მიცვალებულების სიყვარული გაქვს და არც შენი გოგონების... როცა სიყვარული არ გაქვს, ვერც კაცს მოკლა... და ვერც რევოლუციას მოახდენ! (ეს ბოლო ფრაზა, ჩემი პასაჟია).

თქვით უარი იმ ნისქვილზე, რომლის მიღების იმედიც გაქვთ, თქვით უარი იმ „სამზითვო“ ფულზე, რომელიც ვითომდა გამათხოვრებული ძაბუნებისთვის გინდათ. თქვით უარი და დაგიჯერებთ. ბოლომდე გამოგყვებით, მაგრამ ისევე ჩემი, ჩემი შვილების, უნამლოდ დარჩენილი პენსიონერების, უსწავლელად დარჩენილი ახალგაზრდების ფული გინდათ და – ჩემს ფეხებს მიიღებთ.

სწორედ ამ ერთ-ერთი მიზეზის ბრალია ის, რაც ამ ბოლო დღეების განმავლობაში ჯერ თიანეთში გამგებლის არჩევნებში და მის პარალელურად თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე მომხდარმა ტრაგედიამ დაგვანახვა.

ისტორიებს არ მოგყვებით, რადგანაც ყველამ კარგად იცით. უბრალოდ, ჩემს მცირე კომენტარებს შემოგთავაზებთ.



რატომ ვდგავართ ნვიმაში?!

ნაცებო, ხო ხედავთ რო ეს თქვენი მიჩა რა ჩათლახიცაა? ჯერ დათა ახალაია „უარყო“, ახლა კიდე მეგიბა. სხვებზე აღარაფერს ვამბობ. 20 გრივნად ისე გაგყიდით, სანდრასაც არ დაახამხამებს. ევრონაცებს კიდე ვეტყვი, რო ბოკერია, უგულავა და ბაქრაძე მიჩაზე უარესები არიან. მაგალითად მარტო გიგინო წერეთელიც გეყოფათ.

თიანეთის არჩევნებში, ფაქტობრივად, იმ ხალხის სრული ლუსტრაცია მოახდინა, რომ „გაძრწენ“ და ახლა პოზიციების დათმობა არ სურთ და ასევე გვაჩვენა, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და დეპუტატმა ქუცნაშვილმა ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა.

მინდა, მივმართო „ქართულ ოცნებას“:

დიდმა ბრიტანეთმა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ პრემიერ-მინისტრზე თქვა უარი. ალბათ, ეს ქუცნაშვილი „ოცნებისთვის“ ჩერჩილზე მეტია, რადგან იმასაც ვერ უბედავენ, რომ არამც თუ ნავიდეგს, არამედ დაშოშმინდეს და თავისი უშუალო საქმით დააკავდეს.

დავიჯერო იმდენს ვერ ხვდებიან, რომ ქუცნაშვილის არამც თუ ნებისმიერი ქმედება, არამედ გამარჯვებული პარტიისთვის საშინელი მინუსია?

რომ მან კინალამ გააუფასურა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოცნების გამარჯვება? და რომ არა ჯერ მცხეთის, ხოლო შემდგომ სააპელაციო სასამართლოს პრინციპულობა, ქვეყანა უკანდახევის უზარმაზარ ნაბიჯებს გადადგამდა?

რაც შეეხება ნუცუბიძის ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიას, როცა დაკავების ოპერაციის დროს ახალგაზრდა ადამიანი გარდაიცვალა, ისმის სხვადასხვა მოსაზრებები. მაგალითად ის, რომ ძველი „ნაცპოლიციელები“ ისევე სისტემაში არიან. ამბობენ, რომ დაუსჯელობის სინდრომი. ამბობენ, რომ კანონია შესაცვლელი და.ა.შ.

დიდმა ბრიტანეთმა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ პრემიერ-მინისტრზე თქვა უარი. ალბათ, ეს ქუცნაშვილი „ოცნებისთვის“ ჩერჩილზე მეტია, რადგან იმასაც ვერ უბედავენ, რომ არამც თუ ნავიდეგს, არამედ დაშოშმინდეს და თავისი უშუალო საქმით დააკავდეს.



სწორედ აქედან გამომდინარე, შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ბუსკად იმავე მდგომარეობაშია, რაშიც ქუცნაშვილი. არ არის მღებრიშვილი არც კომუნე ფუშე და არც ფელიქს ძერჟინსკი. ის დღეს ორმაგი მძევალია: ერთის მხრივ არასწორად აღქმული ე.წ. „მუნდირის ღირსების“, რამაც არაადექვატურმა, იდიოტურმა და „ხალხის ჯინაზე“ აპელირებამ, სააკაშვილის რეჟიმი დაამხო, ხოლო, მეორე მხრივ, მმართველი ძალის უაზრო სიჯიუტის დემონსტრირების მძევალი.

კი, ბატონო, გეთანხმებით მხოლოდ მცირე ნაწილში. მცირე ნაწილში იმიტომ, რომ: ყველა, ვინც იწყებს პოლიციაში მუშაობას, გადის სხვადასხვა სახის სწავლებებს, უტარდება ტესტები, აბარებენ გამოცდებს. გადიან სამედიცინო შემოწმებას. საინტერესოა, თუ რამდენი გაივლის დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ჩატარებულ ტესტირებას?

რამდენს აქვს შინაგანად, საკუთარ თავში ძალადობის სინდრომი?

რამდენი ვერ იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას და მხოლოდ ე.წ. „უსტავს“ (ეს რუსული სიტყვა სპეციალურად გამოიყენე) ეყრდნობა?

რამდენი არის შინაგანად გაუნონასწორებული, რასაც წესით ფსიქოლოგები უნდა არკვევდნენ? რამდენისთვის პოლიციელის მუნდირი ე.წ. „ძალადობის ბარათია“? რამდენი შინაგანად თვლის, რომ რაც მეტს „გააფუჭებს“, დაიჭერს, გააუბედურებს, მას ზემდგომეში ქულები ჩაენერება?

არ ვიცი, ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რეალურად რა მოხდა და რატომ გარდაიცვალა ის ახალგაზრდა, მაგრამ პოლიციის რეფორმა ავტომობილების, ოფისებში კომპიუტერების, უნიფორმის და.ა.შ. შეცვლა არ არის და არანაკლებია, ვიდრე კონსტიტუცია, რადგანაც კონსტიტუცია – უმაღლესი კანონი, სწორედ იმით უნდა აღასრულონ.

სწორედ აქედან გამომდინარე, შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ზუსტად იგივე მდგომარეობაშია, რაშიც ქუცნაშვილი. არ არის მღებრიშვილი არც ყოზეფ ფუშე და არც ფელიქს

ძერჟინსკი. ის დღეს ორმაგი მძევალია: ერთი მხრივ, არასწორად აღქმული ე.წ. „მუნდირის ღირსების“, რაზეც არაადექვატურმა, იდიოტურმა და „ხალხის ჯინაზე“ აპელირებამ, სააკაშვილის რეჟიმი დაამხო, ხოლო, მეორე მხრივ, მმართველი ძალის უაზრო სიჯიუტის დემონსტრირების მძევალი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პატრულმა დაარღვია უმარტივესი კანონი, ბრძანება, თუ რასაც სახელისუფლებო ენაზე ჰქვია: მან არ მოახდინა გამოძახების სრული ჩანერა!

მორჩა და გათავდა. მიმდინარეობს გამოძიება? კი, ბატონო. შეუჩერე უფლებამოსილება თუნდაც ამ სავადებულ ნენსის დარღვევის გამო (ზუსტ კვალიფიკაციას მე ვერ ვაძლევ). შეუჩერე, ოფიციალურად განაცხადე და პრესსამსახურს სულელური განცხადებების გაკეთება არ დაავალო.

კარგით რა, ქუცნაშვილი კი არა, სრუშროვი გადააყენეს და ვილაც პატრულის თანამშრომელი კი არა, ბერია დაიჭირეს.

წერილის ბოლოს კი მინდა, იმ „წყეული“ სამკლავურის თემას შევეხო.

თავიდან არანაირად არ მინდოდა კონკრეტულად კაშიას თემას შევეხოდი. არ მინდოდა იმიტომ, რომ გურამ კაშია არ წარმოადგენს დღევანდელი უმთავრესი პრობლემის წარმოჩენების ისეთ ნიშას, რომლის რაღაც რეაქციის გამო აქციები უნდა მოეწყოს, ვინმე უნდა დაიჭირონ და ამან საქართველოში „პროტესტის უზარმაზარი ტალღა“ აავიროს.

თემა არ არის? ახლავე, ბატონო:

დღეს ე.წ. „ეროვნული ბანკი“ და ბანკები აუპატიურებენ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს!

დღეს ბოკერია, არჩეული მანდატით, ფაქტობრივად, მეორე ადგილზეა! დღეს ისევე ითხოვენ ე.წ. „პოლიტიკური ბლოკის შეკვრის“ უფლებას, რომლითაც უამრავი უსაქმური, ნაძირალა და უტვირო, ბიუჯეტის ფულს უმიზნებს!

დღეს... დღეს...! რა კაშია, რის სამკლავური! რა ფეხბურთის ფედერაცია! კარგით რა, ხალხო (აქ ცოტა ჩემს სტილში უნდა დამენერა, მარა... !!!)

რა ლგბტ „თემი“, რის პედერასტები? ამათი მთავარი პროპაგანდა, საიდანაც მოდის, იმათ ტერიტორიებზე პროტესტი არ გვინდა?


კარგით რა!

წერილი კი ერთი ფეხბურთესტატუსით უნდა დავამთავრო: **ნაცებო, ხო ხედავთ რო ეს თქვენი მიჩა რა ჩათლახიცაა? ჯერ დათა ახალაია „უარყო“, ახლა კიდე მეგიბა. სხვებზე აღარაფერს ვამბობ. 20 გრივნად ისე გაგყიდით, სანდრასაც არ დაახამხამებს. ევრონაცებს კიდე ვეტყვი, რო ბოკერია, უგულავა და ბაქრაძე მიჩაზე უარესები არიან. მაგალითად მარტო გიგინო წერეთელიც გეყოფათ.**

იმ ჭიაჭუა „პარტიებს“ კიდე რადა ვუთხრა, მაგ გაჭირვებულებს, მაგათ.

ჰოდა ადექით ახლა, დაეწყეთ წვეილ-წვეილად და მთაწმინდიდან გამოეჩანეთ. უკეთესს ვერაფერს გირჩევთ.

თქვენ კი, ჩემო ძვირფასო მკითხველო, დროებით დაგემშვიდობები.



ბიბა ბაბრიშიძე

საპარტიო კოდექსის ცვლილებასთან ერთად დეპუტატები პარტიების დაფინანსების ახალ სქემასაც გვთავაზობენ, რომლის მიხედვით ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები ენ. კვალიფიციური სუბიექტი შესაძლოა, ისეთი პარტიაც გახდეს, რომელიც არჩევნებში ამ მიმართულებით დადგინდეს 3%-იან ბარიერს ვერ გადალახავს, მაგრამ რომლის წარმომადგენელიც პარლამენტში მოხვდება და ფრაქციის ფორმირებას შეძლებს.

შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა დეპუტატმა სიმონ ნოზაძემ („მრწველები“) და ფრაქცია „სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარემ გია ჟორჟოლიანიმ წარუდგინეს.

გასული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარტიებს ცხოვრება ისედაც გაუიოლდათ, მაგრამ როგორც ჩანს, კიდევ უფრო მეტი დაფინანსების მიღების სურვილი ახალი საკანონმდებლო ცვლილებების უბიძგებთ.

არსებული წესით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება კვალიფიციური სუბიექტები, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო ან თვითმმართველობის არჩევნებში ხმების, მინიმუმ, 3% აიღეს და დაფინანსებას ინარჩუნებენ შემდეგ არჩევნებამდე.

ყოველწლიური დაფინანსების ფორმულის თანახმად, საბაზო დაფინანსება 300 000 ლარს შეადგენს, ამას ემატება პარლამენტში მიღებული მანდატებისა და არჩევნებში მიღებული ხმების შესაბამისად დამატებითი თანხები. თუ პარტიამ ხმების 6% აიღო, მაშინ ის საბაზო დაფინანსების ორმაგ ოდენობას, 600 000 ლარს იღებს ყოველწლიურად.

თუ პარტია საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული სისტემით ხმების, მინიმუმ, 5%-ს მიიღებს, მაშინ მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად უნაღალურდება საარჩევნო კამპანიისა და განუყოფელი ხარჯი არაუმეტეს მილიონი ლარის ოდენობით.

პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც საბიუჯეტო დაფინანსებას იღებენ, ასევე, შეუძლიათ მიიღონ მიზნობრივი დაფინანსება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისგან. თანხა გაიცემა კვლევების, კონფერენციების, მივლინებების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტის ფარგლებში.

პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დაფინანსებას იღებენ სახელმწიფოსგან, ასევე იღებენ დამატებით თანხას (მაქსიმუმ 600 000 ლარი) წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის დასაფარად.

პარტიას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლება წარმოეშობა მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შემდეგ და იმ შემთხვევაში, თუ პარტია ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკი, რომელშიც ეს პარტია იყო გაერთიანებული, მიიღებს

საპარტიო კოდექსის ცვლილებებში პარტიებს მაღა გაეხსნათ - ბიუჯეტიდან დასაფინანსებლად 3 პროცენტის უბარკობას არ უნდათ



გასული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბიუჯეტიდან 11-ის ნაცვლად 20 პარტია იკვებება

ღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3%-ს ან 3%-ზე მეტს, ანუ, დღეს პარტიისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლების მინიჭება მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შემდეგების საფუძველზე შესაძლებელია.

ახალი ინიციატივის მიხედვით კი, როგორც კანონპროექტის ავტორები განმარტავენ, პროპორციული სისტემით პარტიის მიერ მიღებული მინიმალური შედეგი (3%), რომელიც შესაძლებელია, არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ პარტია წარმოდგენილი იყოს პარლამენტში, საკმარისია პარტიის მიერ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსის მისაღებად და დაფინანსების მოსაპოვებლად. მაშინ, როდესაც პარტიას, საპარტიო კონსტიტუციითა და კანონით, ითვლება, რომ ჰყავს პარლამენტში წარმომადგენელი, თუ იგი არჩევნებში მონაწილეობის მიზნით პარტიული სის წარდგენისაგან დამოუკიდებლად წარადგენს, მაჟორიტარ კანდიდატებს და ეს კანდიდატები არჩეული იქნებიან პარლამენტის წევრებად.

შესაძლოა, პარტიამ ვერ გადალახოს პარლამენტის პროპორციული სისტემით გამართულ არჩევნებში 3%-იანი ბარიერი, მაგრამ ამ პარტიამ მოიგოს მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნები და მით უფრო, მისმა წარმომადგენლებმა შექმნან საპარლამენტო ფრაქციაც კი.

როგორც სიმონ ნოზაძე და გია ჟორჯოლიანი მიიჩნევენ, ასეთ შემთხვევაში, კანონი, ისევე, როგორც აღიარებს და ათანაბრებს პარლამენტის არჩევნის ორივე სისტემას და ამ ორივე სისტემით არჩეული პარლამენტის წევრების სტატუსს განსხვავებულად არ ადგენს, ისე დაფინანსების საკითხში უნდა დაიცვას პარიტეტი.

როგორც ცნობილია, სიმონ ნოზაძე პარლამენტში „მრწველების“ სახელით მოხვდა, თუმცა „მრწველთა პარტია“ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 0.78% აიღო.

რაც შეეხება გია ჟორჯოლიანის „სოციალ-დემოკრატიული პარტიას“, მას როგორც საარჩევნო სუბიექტს, არჩევნებში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა და პარტიის სამი წარმომადგენელიდან ერთი პარ-

ლამენტში „ქართული ოცნების“ პარტიული სიით, ხოლო ორი – მაჟორიტარული ოლქებიდან, „ქართული ოცნების“ წარდგინებით მოხვდა.

დღეს ორივე ეს პოლიტიკური სუბიექტი უმრავლესობის შემადგენლობაშია და „ქართული ოცნების“ დახმარებით საკუთარი პარტიების სახელობის ფრაქციები აქვთ შექმნილი.

როგორც ჩანს, დეპუტატებს სურვილი აქვთ, დაფინანსება მათმა პარტიებმაც მიიღონ – რატომ? დეტალურ დასაბუთებას, როგორც ჩანს, იმ შემთხვევაში შემოგვთავაზებენ, თუკი პარლამენტი კანონპროექტის განხილვას გადაწყვეტს.

ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, არჩევნები 2024 წლიდან მთლიანად პროპორციული სისტემით ჩატარდება, როგორც ჩანს, წერილი პარტიები მანამდე გამონაკლისს ითხოვენ.

გამოდის, ქართველი პოლიტიკოსებისთვის პარტიებისთვის პლურალისტური გარემოს შექმნა, რაც ახალ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის მთავარი მოტივაციაა, ყველა პარტიის დაფინანსებას გულისხმობს, ვინც კი შეძლებს რაღაცა გზით საკუთარი წარმომადგენელი პარლამენტში მოახვედროს.

რაც შეეხება პარტიების დაფინანსებას, სასაყვედურო ნამდვილად არაფერი აქვთ, გასული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბიუჯეტიდან 11-ის ნაცვლად 20 პარტია იკვებება, თუმცა ამან ვერაფრით შეუწყო ხელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მათ უფრო ღირსეულად წარმოდგენას.

გასული, საპარლამენტო არჩევნების შემდეგებიდან გამომდინარე, კვალიფიციური სუბიექტები გახდნენ „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიები – „ტრადიციონალისტები“, „თავისუფალი საქართველო“, „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“, „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“, საარჩევნო ბლოკ „წინა ბურჟუაზიამ – დემოკრატიული მოძრაობაში“ შემავალი პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობასთან“ ბლოკში მყოფი „ევროპული საქართველო“, პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო საღისისთვის“ და გიორგი ვაშაძის „ახალი საქართველო“.

საპარტიო კოდექსში 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული, რომლებიც ჩანს, ძირითადად, ბიუჯეტიდან დასაფინანსების მოპოვების იმედად შექმნილი, რადგან მათი მოღვაწეობა, მით უფრო მათი მიერ მოტანილი სარგებელი ფართო ფანჯარისთვის უცნობია. საზოგადოება თითქმის ჩამოსათვლელი პარტიების სხვათა იხსენებს, ნდობით კი, რაც დრო გადის, სულ უფრო ნაკლებად ენდობა მათ.

მარიამ თოდაძე

რა შედეგებზე მიიღებს აღამიანი 500-ლარიან პენსიას დაბრუნების მეშვეობით

დაბრუნების საპენსიო სისტემის კანონი როგორც იქნა მომზადდა და მალე პარლამენტში შევა. ირკვევა, რომ საპენსიო სქემაში ჩართვა სავალდებულო იქნება 40 წლამდე დასაქმებული ადამიანებისთვის, ხოლო ნებაყოფლობითი იქნება მათთვის, ვისაც კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 40 წელი. რაც შეეხება თვითდასაქმებულებს, ისინი ნებაყოფლობით განეწვერიან დასაქმებულ მათი ასაკის მიუხედავად.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნინო ჯაფარიძე ამტკიცებს, რომ საპენსიო აქტივების ინვესტირება მოხდება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დაცვით მაღალკვალიფიციური და გამოცდილი წევრებისგან შემდგარი საინვესტიციო საბჭოს მიერ შემუშავებული პოლიტიკის შესაბამისად.

თითოეული დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო კანონით სქემის მონაწილე ინდივიდუალურ საპენსიო ანგა-

რიზზე განახორციელებს შენატანს თითოეული დასაქმებულის ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2%-ის ოდენობით. რაც შეეხება თვითდასაქმებულ პირებს, ისინი განახორციელებენ შენატანს თავისი შემოსავლის 4%-ის ოდენობით, სახელმწიფო კი როგორც დასაქმებულების, ასევე თვითდასაქმებულების სასარგებლოდ მათ დამატებით გადაურიცხავს დასაბეგრი შემოსავლის 2%-ს.

„საშუალოდ 1000-ლარიან ხელფასზე, საიდანაც 30 წლის განმავლობაში ადამიანი დააგროვებს, დაახლოებით 500 ლარი იქნება მისი პენსია, საბაზისო პენსიის გარეშე“, – განაცხადა ჯაფარიძემ. მისი თქმით, ეს ზუსტი განგარიშება არ არის, რამდენადაც შესაძლებელია განსხვავებული იყოს ხელფასი, ასევე განსხვავებული იყოს დაგროვების წლები და ის თუ რა რისკიანობის ინვესტიციას ირჩევს დასაქმებული.



მისი განმარტებით, დაგროვებული პენსიის გამოტანა შესაძლებელია რამდენიმე შემთხვევაში, – თუ ადამიანი გარდაიცვლება, მისი დანაზოგი შეუძლია მემკვიდრეობით მიიღოს მემკვიდრეებმა. ასევე გამოიწვევს ის შემთხვევა, როდესაც ადამიანი კარგავს შრომისუნარიანობას ან უარს ამბობს საქართველოს მოქალაქეობაზე.

სხვა შემთხვევებში, მხოლოდ პენსიაზე გასვლის შემდეგ შეუძლიათ მომხმარებლებს საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული თანხის გატანა. წინა ჯავახაძის თქმით, ასევე არის მცირე ლიმიტირებული შემთხვევ-

ები, მაგალითად, თუ ადამიანმა 63 წლის ასაკში გადაწყვიტა დაგროვებით საპენსიო რეფორმაში ჩართვა და მხოლოდ 2 წლის განმავლობაში დააგროვა პენსია, შეუძლია პენსიაზე გასვლისთანავე ეს თანხა სრულად გამოიტანოს.

ყოველთვიური პენსია განისაზღვრება სპეციალური პროგრამის მეშვეობით, რომელიც იანგარიშებს კონკრეტული პირის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას.

უმრავლესობის დეპუტატი აკაკი ზოიძე აცხადებს, რომ დაგროვებითი პენსია ქვეყანაში შექმნის ღირსეულ საპენსიო სისტემას.

„დაგროვებითი პენსიის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ადამიანმა ყოველთვიურად საკუთარი ხელფასიდან დაგროვებული თანხა გადადოს „ყულაბაში“, რომელსაც სახელმწიფოსა და დამქირავებლის დანამატიც დაემატება. ძირითადი პრინციპები უკვე ცნობილია. საუბარია, რომ ადამიან-

ბი ყოველთვიურად გადაიხდინა გარკვეულ თანხას და ამ პროცესის თანამონაწილე იქნება როგორც დასაქმებული, ისე სახელმწიფო.“


თანამონაწილეობის პროპორცია იქნება შემდეგი: ერთ მესამედს გადაეხდის ადამიანი საკუთარი ხელფასიდან, მეორე მესამედს გადაიხდის დამსაქმებელი და მესამე მესამედს კი სახელმწიფო. ეს თანხა დაგროვდება ამ ადამიანის „ანგარიშზე“ და გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა საპენსიო ასაკის გახდება, გაცილებით მაღალ პენსიას მიიღებს, ვიდრე დღეს. ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება როგორც საშუალო წლებზე, ისე ხელფასის ოდენობაზე.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც არ ჩაერთვებიან დაგროვებითი პენსიის სისტემაში, ამ შემთხვევაში, ისინი იმ სოციალურ პენსიას მიიღებენ, რაც სახელმწიფოსგან იქნება დადგენილი, ყოველგვარი დანამატების გარეშე.

გიგა დანელია

ელეგანტურად მჭევრმეტყველი

ზბრიხები თემურ ქორიძის პორტრებისთვის ბრძენასთან ნააზრავის პრიზმაში



უბრალო მსმენელსაც აოცებდა ერთდროულად, მისეული თხრობის მტკიცე, ლოგიკური ჯაჭვითა და ექსპრესიულობით.

შურნალ „ცისკრის“ განხილვა მიმდინარეობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ლიტერატურული შეხვედრებით სახელგანთქმულ 93-ე აუდიტორიაში.

80-იანი წლებია, როგორც იტყვიან, ნემსს ვერ ჩააგდებ, ისეა დარბაზი გადაჭედებული. ვის არ ნახავთ: სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სხვადასხვა თაობის ცნობილ მწერალსა და ლიტერატორს, დამწყებ კალმოსნებს... „ცისკრის“ მთელი შემადგენლობაც აქ არის, ბუნებრივია, მთავარი რედაქტორის ჯანსუღ ლვინჯილიას თავკაცობით.

ერთგვარ სტანდარტულ ჩარჩოში მოქცეულ, მონოტონურ და მდორე საუბრებს (რაც დამახასიათებელი იყო იმდროინდელი ლიტერატურული განხილვებისთვის), ყველასთვის მოულოდნელად, კალამოტიდან აგდებს თემურ ნუცუბიძის თავბრუსხვევითი სიტყვა და მძაფრი კრიტიკა. ე.წ. დუღილის ტემპერატურამ უცებ აინია და ატყდა ჩოჩქოლიც. მავნათა განაწყენებული წამოძახილიც ისმის ორატორის მისამართით... თემურ ნუცუბიძეს ენაცვლება ჩემთვის უცნობი თემურ ქორიძე, რომელიც მკვირცხლი ნაბიჯებით მიემართება ტრიბუნისაკენ... თავდაჯერებული და სახეზე ოდნავ ღიმგადაფენილი თვალს მიმოავლებს ამდღევანდელ დარბაზს. აუდიტორიაც წამით გაყურდება იმის მოლოდინში, თუ რას იტყვის ახალგაზრდა ლიტერატორი. ინყება, მაგრამ რა ინყება. მჭევრმეტყველების ნამდვილი ფეიქვრევი...

„მჭევრმეტყველება დიდებასა და ძალაუფლებაზე ძვირფასია, რადგან დიდებაც და ძალაუფლებაც, ხშირად მჭევრმეტყველებით მოიპოვება“ (სკილევი). პირველად ვისმენ თემურ ქორიძის საჯარო სიტყვას და გაცოცხლებს ვერ ვფარავ. ზედგამოჭრილია მასზე დენიელ უებსტერის გამონათქვამი: „წამართვით ყველაფერი, დამიტოვებ მხოლოდ ჩემი მტყვევება და სულ მალე ყველაფერს დავიბრუნებ“.

თემურ ნუცუბიძის წარმოდგენილად სწრაფ მტყვევებასა და ფენომენალურ აზროვნებას ენაცვლება თემურ ქორიძის შედარებით დინჯი, მწყობრი, ხავერდოვანი, მტკიცე, ოდნავ წამღერებული და ასევე მძაფრად კრიტიკული საუბარი. ქვას ქვაზე არ ტოვებს და რომელიც განაწყენებული მსმენლისგან უადგილოდ წამოსროლილი შეძახილის გადასაფარად, შიგადაშიგ შესამჩნევად ხმასაც უწევს...

ერთი სიტყვით, თემურ ნუცუბიძის დანთხვეულ ცეცხლს თემურ ქორიძემ ნავთი გადაასხა და დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია.

ასე გავიცანი თემურ ქორიძე. „ამტყვევლდი იმისთვის, რომ დაგიწახო“ (სოკრატე);

ახლაც ყურში ჩამემისის მისი სიტყვა — ორატორული ხელოვნების შთამბეჭდავი და განუმეორებელი ნიმუში.

თემურ ქორიძემ უმაღლეს დამარწმუნა იმაში, რომ „ადამიანის გონება მუშტებზე ძლიერია“ (ფრანსუა რაბლე), „სიტყვა კი — ადამიანის ყველაზე ძლიერი იარაღი“ (არისტოტელე); ზოგადად, დამეთანხმებით, ალბათ, პირველ შთაბეჭდილებას, უმრავლეს შემთხვევაში, გადაამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს. სწორედ, ჟურნალ „ცისკრის“ განხილვაზე აღმოვაჩინე თემურ ქორიძის ფენომენი.

„თუ მტყვევლება აზრის სამოსია, მაშინ მჭევრმეტყველება მისი ელეგანტური მორთულობაა“ (სკილევი). სწორედ რომ, მუდამ ელეგანტურად მჭევრმეტყველი მახსოვს თემურ ქორიძე. რა თემაზე არ უნდა შეხებოდა, სისხლხორცულად გათავისებულ ჰქონდა მტყვევლებაზე გამოთქმული არაერთი აქსიომატური სიბრძნე. რატომღაც მგონია, რომ განსაკუთრებით მოსწონდა ამ ორი გენიოსის ნააზრავი: „ისაუბრო დაუფიქრებლად, იგივეა, რაც ისროლო დაუმიზნებლად“ (სერვანტესი), ანდა „ბევრი სროლა არ ნიშნავს, რომ მსროლელი ხარ, ასევე ბევრი ლაპარაკი არ ნიშნავს ორატორობას“ (კონფუცი)...

ვატყობ, ჩემი მოკრძალებული ესე საკმაოდ გადატვირთვით გენიალური ადამიანების გამონათქვამებით, მაგრამ თემურ ქორიძის სრულყოფილ პორტრებს სხვაგვარად ვერ დავხატავდი. გარდა ამისა, თავდაცვით ხშირად ციტირებდა ზეპირად მსოფლიოს გამორჩენილი ადამიანების ბრძნულ გამონათქვამებს ბრწყინვალე მახსოვრობის წყალობით. ამდენად, ეს ესეც განგებ ამ პრინციპით ავავი: თემურ ქორიძის შეულამაზებულ პორტრეტს ბრძენასთან ნააზრავის პრიზმაში.

გამორჩეული იყო მისი დუმილიც და

მოსმენის კულტურაც. თემურ ქორიძის დუმილი, მართლაც იყო რჩეული ოქრო. ესეც მის უპირატესობას ამჟღავნებდა. ხშირად დუმიდა ამის გამოც: „ბრიცსა და სულელს რომ შენი ჭკუა უჩვენო, მხოლოდ ერთი გზა გაქვს: ხმა არ გასცე“ (შოპენჰაუერი). ანდა: „ზოგჯერ დუმილი ყოველგვარ მტყვევებაზე ბევრისმეტყველია“ (მონტესკიე). ის გახლდათ მიმართულების მიმცემი ადამიანი და ამდენად დიდი პიროვნება. მან კარგად უნყოფა ისიც, რომ „ყოველგვარი სიბრძნის საფუძველი არის მოთმინება“ (პლატონი) და სჯეროდა იმისა, რომ „ჭეშმარიტება შეიძლება დროებით დაიხაროს, მაგრამ მისი საბოლოოდ დამარცხება შეუძლებელია“ (ნეტარი ავგუსტინე). არ უნდა იყოს სადავო, რომ „ნამდვილი სარდალი გონებით იმარჯვებს და არა მახვილით“ (ნაპოლეონ ბონაპარტი). თემურ ქორიძის ცხოვრებამოღვაწეობა დასტურია მიშელ მონტენის უკვდავი სიტყვებისა: „ჭეშმარიტი ღირსება მდინარეს ემსგავსება: რაც უფრო ღრმაა, ნაკლებს ხმაურებს“. თემურ ქორიძე იყო სამართლიანი პიროვნება, რადგან „სამართლიანი კაცის ზნეობრივი თვისებები სავსებით ცვლიან კანონებს“ (მენანდრე). ის მთელი შეგნებით ებრძოდა უსამართლობას, ამკვიდრებდა სოლონიესულ „მართალ სამართალს“ და აბსოლუტურად გააზრებული ჰქონდა: „როცა სამართლიანობა ქრება, მაშინ აღარაფერი რჩება ისეთი, რომ ადამიანის სიცოცხლეს ღირებულება მისცეს“ (კანტი)...

თემურ ქორიძეს სამშობლოზე უკეთ არ უცხოვრია. ის მხოლოდ გამუდმებულ ცოდნა-განათლებლს დანაფლებს იყო და ხარბებული. ამიტომაც ჩამოყალიბდა ჩვენი დროის ერთ-ერთ უპირველეს ინტელექტუალად. თუმცა, ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა, მატერიალური სიხარბის უარყოფა ყველაზე დიდი სიმდიდრე რომ არის (სენეკა). მაღლიერი ჰყავდა სტუდენტი-ახალგაზრდობაც და

ელეგანტურად მჭევრმეტყველი

ვიცოდეთ ჩვენი ხალხის ისტორია

მითხარი, რა გპირი ხარ და გეტყვი, ვინ იყვნენ უანი წინაპრები!

თანამედროვე პირები, გიგანტები და წოდებათა ფოდალურ საქართველოში

ბოქაულთუხუცესი — ბოქაულების უფროსი, მთავარი ბოქაული.

მეზარი (არაბ.) — უმაღლესი მოხელე, მინისტრი.

ღარბაზი — ერთიან ქართულ სამეფოში სახელმწიფო საბჭო, მთავრობა. შედგებოდა 5 კაცისგან: მნიგნობართუხუცესი, მთავარი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი.

დიდაული (სიტყვიდან „დიდი“) — ფეოდალური კლასის უმაღლესი ფენის წარმომადგენელი, რომელთაგანაც უკვე VII-X საუკუნეებში წარმოიქმნენ „დიდდინი აზნაურნი“. როცა XV საუკუნეში ფეოდალური არისტოკრატია თავადთა ცალკე წოდებად გაერთიანდა, დიდებული თავადები, ან უბრალოდ დიდებულები, ყველაზე ვრცელი მამულების და უმაღლესი თანამდებობების მფლობელები გახდნენ XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლში დიდებულებად იხსენიებიან ხუთი-ექვსი ყველაზე მსხვილი ფეოდალური სახლის მეთაურნი.

კათალიკოსი (ბერძ. „საყოველთაო“, „მთავარი“) — V საუკუნიდან ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, პატრიარქის ტიტული. V საუკუნის შუახანებში იყო ორი კათალიკოსი — აფხაზეთისა (იმერეთი), და საქართველოში (ქართლი).

მეფეთუხუცესი — ქეიქოსთა, მეფის ან თავადის მცველთა უფროსი.

ძილიფთარი — ქალიფთართუხუცესს დაქვემდებარებული.

ძილიფთართუხუცესი — სასახლის საკუთხაოთა, სუფრის მონყობილობათა მთავარი ზედამხედველი.

მორ-იასაუღ-გაში (თურქ.) — იასაულების უფროსი.

მორჩიბაზი (თურქ.) — ირანში შაჰის კავალერიის და შაჰის პირადი დაცვის უფროსი, საქართველოში როსტომ მეფის დროიდან შეესაბამებოდა მსახურთუხუცესის ოდინდელ წოდებას.

მურაბაზი (თურქ.) — ირანში შაჰის გვარდიის უფროსის წოდება. საქართველოში — როსტომ მეფის დროიდან — სასახლის მსახურეთუხუცესის უფროსი, შეესაბამებოდა მონათუხუცესის ოდინდელ წოდებას.



ლაშაბანიშისი — სამეფო მხედრობის მომარაგების უფროსი, ობერ-პროვიანტმისტრი.

მანდატური — იგივეა, რაც იასაული.

მანდატურთუხუცესი — XI-XV საუკუნეებში, ერთიან საქართველოს სამეფოში შინაგან საქმეთა და ფოსტის მინისტრი, პროტომანდატური.

მღიზანი (სპარ.) — XV საუკუნიდან საქმის მწარმოებელი, მწერალი, მდივანი.

მღიზანაბაზი (თურქ.-სპარ.) — ტერმინი ნასესხებია ირანიდან, სადაც აღნიშნავდა უმაღლეს მოსამართლეს. უკვე XVII საუკუნის დასაწყისში შეცვალა მსაჯულთუხუცესი, საქართველოში მეფის მუდმივი მოსამართლე. თავიდან ასეთი მოსამართლე ბევრი არ იყო, მაგრამ უკვე XVIII საუკუნეში მათი რიცხვი სამ ათეულს აჭარბებდა, მოხელე.

მღიზანაბათუხუცესი — მღიზანბეგთა ზემდგომი.

მღიზან-ნაზირი — კანცელარიის მცველი.

მეფინიბათუხუცესი — მთავარი მეფინიბე, ობერ-შტალმაისტერი.

მეფინეთუხუცესი — მთავარი მწდე, სუფრაჯი, ობერ-მეფი, ზედამხედველობდა აგრეთვე სამეფო ან მთავრის ვენახებს.

მელიძი (არაბული სიტყვიდან „მეფე“, „მფლობელი“) — საქართველოში ძირითადად ქალაქის (თბილისში და სხვა ქალაქებში) ან სოფლის მამასახლისი, ძირითადად სომხურ მოსახლეობაში, მაგრამ იმავ ტიტულს ატარებდნენ პროვინცია სომხეთის მმართველნიც.

მოამზადა
ალექო ასლანიშვილმა
(გაბრძენიანი იმედა)

სელოვანი

„უბად სიკვდილი, ვიღრა უმხირასი ლაქა“



წარსულს ჩაბარდა ხელოვანთათვის შემოქმედებითი მივლინებები. ალბათ, სასიკეთოდაც, რადგან ქვეყნის შემოქმედისთვის შეკვეთითა და დავალებით საქმის კეთება, არც თუ ისე უპრიანი. ჩემი მეგობარი, რომელსაც ღვთის წყალობით მუზა გაწყვეტულ თანამგზავრად განდობია, რომელსაც ყოველი წამი და ყოველი ამოსუნთქვა ხელოვნებისთვის აქვს განკუთვნილი, მართლაც ზედმეტია სხვათაგან რჩევა, გინდაც თხოვნა, ესა თუ ის შექმნიო. ასეთი ღვთიერკურთხეული ნიჭითა და დაჯილდოებული მართლაც სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ყველასათვის ცნობილი **ჯემალ კუხალაშვილი**. იგი შესანიშნავი ფერმწერი და ნოველისტია, შესანიშნავი ოჯახის მამა და მეუღლე, უღალატო და როგორც ყველა ხელოვანი, თავისებურად უცნაური.

ზაფხული ქალაქარეთ გაატარა. მხოლოდ ინტერნეტის წყალობით ვაკვირდებოდი მის ყოველდღიურ ფუს-ფუსს, თითქოსდა ყველასაგან შეუმჩნეველი და არაფრისმთქმელი საგნებისგან უშესანიშნავეს კომპოზიციებს ქმნიდა და ფოტოსურათების წყალობით ვტკბებ

ბოდით მისი დედაქალაქიდან „გადახვეწის შემდგომი საქმიანობით“. მართლაც ორიგინალური, მისთვის ჩვეული ფილოსოფიითა და მუსიკალურობით იქმნებოდა პოეტური კომპოზიციები ქვებისგან, ლითონის გამოუსადეგარი ნივთებისგან, ხის კუნძებისგან, ძველმანებისგან. ყოველი მათგანი ერთიანობაში გასაოცარი სამყაროს გმირებს წარმოსახავდნენ.

დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს და... პერსონალური გამოფენაც მოაწყო. მიმიწვია, რა თქმა უნდა და სიხარულისგან სწორედ ფოტოებით გაცნობილ სამყაროში ვაპირებდი შებიჯებას, რომ მისი მხატვრული ტილოების, განსაკვირვებული ფერწერის სამყაროში აღმოვჩნდი. როდისღა ასწრებს? თუმცა შემოთავცეთქი, მისთვის ყოველი წამი და ყოველი ამოსუნთქვა ხელოვნებაზე ფიქრია-მეთქი.

ჯემალ კუხალაშვილი 65 წლის შესრულდა, 65 წლის ხელოვანი, უშესანიშნავესი აბსტრაქციონისტი, ყველასაგან გამორჩეული ორიგინალურობით... მისი ნამუშევრები ხომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყოფილა გამოფენილი, მრავალ

ვალ კერძო კოლექციონერსაც გაუმდიდრებია თავიანთი ტილოთსაცავები მისი ნამუშევრებით. ერთიც ვერ მივახსავსე მის ადრეულ ნამუშევრებს (რა თქმა უნდა, სტილი არა მაქვს მხედველობაში), რომელიც მისსავე ნაჩუქარ, ამასწინათ „მაგის“ მიერ გამოცემულ „ულა-მაზეს ალბომშია მოთავსებული. „**ყველა ახალია, ბოლო წელიწადს შექმნილი**“, ჩვეული სიდიდით მითხრა და თითქოს გამომცდელად შემომხედა, რას ვიტყოდი. რა უნდა მეთქვა იმაზე მეტი, რაც შესანიშნავმა პოეტმა, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა ბრძანა: სანამ აქ შემოვიდოდი, გამვლელებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს — ჯემალ კუხალაშვილის გამოფენა გახსნილა და თან, ისეთი სითბოთი, თავად აღვივსე სიხარულითო. არა, უფრო მეტიც, მისალოც სიტყვაში ბრძანა, ყველაზე გულსამაჩუყებელი — შუა საუკუნის ევროპელი რაინდები თავიანთ ფარეზზე სიასამურს ამოტიფრავდნენ. სიასამურის ბენჯი ხომ განთქმულია თავისი სილამაზით, მაგრამ უფრო შთამბეჭდავი ამ ლამაზი ცხოველის დაჭერა იყო — მას ჭაობთან

მიიმწყვდევდნენ, რადგან კარგად უწყოდნენ, რომ უმცირეს ჭუჭყსაც არ იკარებდა ეს ამაყი ცხოველი და უმაღლებდებოდა მონადირეს. ერჩინა სიკვდილი, ვიდრე უმცირესი ლაქა სხეულზე. ამიტომაც ფარზე რაინდები ამ წარწერითაც ამყობდნენ — „**უმაღ სიკვდილი, ვიდრე უმცირესი ლაქა**“. ჯემალის ცხოვრებაც ხომ ასეთი ლამაზი, ლაქა-გაუკარებელი და სუფთაო. ამიტომაც, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი ქართული კულტურის რაინდის წოდებას ანიჭებდნენ მხატვარს. რამდენად საამაყო და გულში ჩამწვდომი, ამ წოდებას ხომ სულ რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელი მამულიშვილი ატარებს საქართველოში. მათ რიგებს ჯემალ კუხალაშვილიც შეემატა. ულოცავდნენ ღირსეულ მეგობარს უახლოესი ადამიანები, პოეტები, მწერლები, კოლეგა მხატვრები, მსახიობები. მეუღლემ, უნიჭიერესმა პოეტმა, ქალბატონმა მარინე ცხვედიაშვილმა ჯემალის შესანიშნავი ჩანახატი წაგვიკითხა, რომელიც ავტორის ნიგნშია შესული.

სიამაყით უბრწყინავდათ თვალები ჯემალის ვაჟებს, შესანიშნავ მხატვრებს, რომლებმაც ოჯახის ტრადიცია არ დაარღვიეს. ჯემალი კი... ძალიან ბევრი დამავალეთო, ესლა ბრძანა. ძნელია ორ მუზას ემსახურო უმნიშვნლოდ, ძნელია დღევანდელ დღეს კაცურ კაცად დარჩე ბოლომდე, უფრო ძნელია რაინდობაც, უმცირესი ლაქის გარეშე, მაგრამ რახან 65 წელი ესე გიცხოვრია, ის აბჯარიც გემსუბუქება, რომელიც ქვეყნის რიგში რაინდმა უნდა ატაროს.

ჩვენი გაზეთის სახელითაც ვულოცავთ ბატონ ჯემალ კუხალაშვილს იუბილესა და ამ მაღალ ჯილდოს. დღეგრძელი იყოს!

ბაგუკა ვაშაძე



ღღესასწაული ყაზანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა



4 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყაზანის ღვთისმშობლის ხატის დღეს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყაზანში ღვთისმოსავ გოგონას — მატრონას ძილში გამოეცხადა და უბრძანა, რომ მისი ხატი მიწიდან ამოეთხარათ, თუმცა ბავშვმა ამის შესახებ ეპისკოპოსს და ქალაქის თავს ამცნო, მათ ყურად არ იღეს მონათხრობი. მაშინ მატრონამ და მისმა დედამ საკუთარი ხელით გათხარეს მითითებული ადგილი. ქალაქის სამღვდელთაგან ხატი ჯერ წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში, შემდეგ კი ხარების ტაძარში გადააბრძანა. ამის შემდეგ იგი მრავალ სასწაულს აღასრულებს, განსაკუთრებით ხშირია მის წინაშე ბრმათა განკურნება.

გიული ლიპარტიანი


ადით მუსოვი, სპსურნო!

მუსოს რეაბილიტაცია დასრულდა - განახლებული სინა-ქალაქი ტურისტებს უკვე იღებს

სინა-ძალაძე მუცო განახლებული სახით ტურისტებს უკვე იღებს. როგორც „კომერსანტის“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ განუცხადა, რეაბილიტაცია დასრულებულია, დარჩენილია მხოლოდ ერთი კოშკი, რომლის რეაბილიტაციაც 2018 წელს დასრულდება. ანთიძის ინფორმაციით, მუცო უკვე საინტერესოა როგორც ტურისტულად, ისე ბიზნესის თვალსაზრისითაც. კერძოდ, ციხე-ქალაქში უკვე მოქმედებს ადგილობრივი მკვიდრის მიერ გახსნილი კაფე. ასევე დიდია ინტერესი, გაიხსნას მალაზიები და მომსახურების

სხვადასხვა ობიექტები. მისი განცხადებით, მომავალ წელს სააგენტო ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად იმუშავებს იმაზე, რომ მუცოში მუდმივად იყოს ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ტურისტებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენს. ანთიძის განცხადებით, ამჟამად არსებობს მხოლოდ სამედიცინო პუნქტისთვის საჭირო ფართი. ანთიძის განცხადებით, მუცოს რეაბილიტაციაზე ამ დროისთვის ჯამში 3.7 მილიონი ლარია დახარჯული, საიდანაც 1.7 მილიონი სახელმწიფო დაფინანსებაა, დანარჩენი კი ფონდმა „ქათუმ“ გამოყო.

„მუსოს რეაბილიტაციის პირველი ეტაპი 2014 წელს დაიწყო, მეორე-მესამე ეტაპი 2015-2016 წელს მიმდინარეობდა, რეაბილიტაციის მეოთხე ეტაპი 2017 წელს დასრულდა. რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყო სამედიცინო პუნქტი და გარკვეული ინფრასტრუქტურა. მათ შორის, მუზეუმ-ნაკრძალი. მნიშვნელოვანია ის, რომ თუ ადრე მუცოში მხოლოდ 1 ოჯახი ცხოვრობდა, ახლა მათი რიცხვი 3-მდე გაიზარდა. ამ დროისთვის მუცოში ელექტრონერგის და გზის პრობლემა არ არსებობს“ — აცხადებს ანთიძე. პირიქითა ხეცსურეთის შუა საუკუნეების ურბანული კომპლექსი მუცო, ზღვის დონიდან



1880 მეტრზე, მთის ფერდზეა გაშენებული. მუცოს სუროთმოძღვრებაში სამი ძირითადი ნაგებობა გამოიყოფა: ციხე-სახლები; კოშკები, რომლებიც სათავდაცვო სისტემის განუყოფელი ნაწილია და აკლდამები, რომლებიც საქართველოში მხოლოდ პირიქითა ხეცსურეთშია გავრცელებული და მუცოში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. კლდეზე ნაგები კომპლექსი წლების განმავლობაში კრიტიკულ მდგომარეობაში იყო და ინგრეოდა. მისი რეაბილიტაციის გეგმა 2004 წლიდან არსებობდა, თუმცა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება ვერ ხერხდებოდა. მუცოს რეაბილიტაცია 2014 წელს დაიწყო. რეაბილიტაცია ტრადიციული მეთოდით — ფიქალების მშრალი წყობით ხდება.

სოფო ძოვრალი



ლეგიონერი

თორნიკე შენგელიას წვლილი



ევროლიგაში პირველი თამაში მოიგო „სასკი ბასკონიაში“. ესპანურმა გუნდმა საკუთარ მოედანზე ათენის „პანათინაიკოსთან“ უმძიმეს ბრძოლაში იმარჯვა ერთი ქულის სხვაობით – 85:84.

შეხვედრა რომ დრამატული იყო, ანგარიშიდანაც ჩანს: მატჩის დასრულებამდე 4 წამით ადრე „ბასკონია“ 83:84 აგებდა, როდესაც დაცვაში თორნიკემ დაფარება შეასრულა, ხოლო მისმა თანაგუნდელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და გამარჯვების მომტანი ორქულიანიც ჩააგდეს.

„ბასკონიას“ ქართველი კაპიტანი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა,

საბოლოოდ თანაგუნდელთა შორის ყველაზე დიდი დრო სწორედ მან გაატარა პარკეტზე. თორნიკემ 29 წუთი ითამაშა და 15 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება შესძინა პარტნიორებს.

ქართველმა კალათბურთელმა 11-დან 6 ორქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო ორი სამქულიანი ააცილა. შენგელია თანაგუნდელთაგან შედეგიანობით მხოლოდ ჯეისონ გრეინჯერს ჩამორჩა (20 ქულა).

„ბასკონიას“ ევროლიგაში 5 ტურის შემდეგ 1 გამარჯვების ნილ 4 წაგება აქვს და მხოლოდ მე-15 ადგილზეა. ბასკები ევროლიგის მომდევნო ტურში 10 ნომბერს სტუმრად „ხიმკის“ დაუპირისპირდებიან.

მიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

ევროპა ლიგის მეოთხე ტურში სამმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა და სამივეს გუნდი დამარცხდა.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ საკუთარ მოედანზე ტირასპოლის „შერიფთან“ ფავორიტად ითვლებოდა და იგებდა კიდეც, მაგრამ მერე ორი უპასუხო გოლი გაუშვა და ნააგო (1:2). რკინიგზელთა რიგებში, ტრადიციულად, 90 წუთი ითამაშა სოლომონ კვიციანი. იური სიომინის გუნდს F ჯგუფში ოთხი ტურის მერე 5 ქულით მესამე პოზიცია უკავია, თუმცა, ლიდერთან ჩამორჩენა მხოლოდ ერთი ქულაა.

თუ „ლოკომოტივის“ ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი ჯერ კიდევ აქვს, იგივეს ვერ ვიტყვით არნემის „ვიტესზე“. კოლანდიურმა გუნდმა „ზულტე ვარეგემი“ მიიღო და დამარცხდა (0:2).



უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლებს ორი გოლი არ ჩაუთვალეს. გურამ კაშია ძირითად შემადგენლობაში იმყოფებოდა და 67-ე წუთზე შეცვალეს. „ვიტესი“ K ჯგუფში 1 ქულით ბოლო საფეხურზეა.

ნააგო სკოპიეს „ვარდარმაც“. მაკედონიის ჩემპიონი სან სებასტიანში „სოსიედადთან“ უშანსოდ იყო – 0:3. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა ჯაბა ჯილაურმა. „ვარდარს“ ქულა არ მოუპოვებია და, ბუნებრივია, პლეი-ოფში გასვლის შანსი დაკარგული აქვს.

ბორისოვის ბატე გერმანიაში „კიოლნს“ 54-ე წუთამდე უგებდა, მაგრამ მერე ვერაფერი გააწყო და დიდი ანგარიშით ნააგო – 2:5. ბელარუსის ჩემპიონის რიგებში ისევ არ ჩანს ვაკო გვილია, რომელიც განაცხადს მიღმა დარჩა. „ბატეს“ 4 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა.

* * *

იტალიური „მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა ვინჩენცო მონტელამ აეკთან (0:0) მატჩის შემდგომ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ის სიცოცხლეში თავის დაკრძალვას ხედავს.

„ხელმძღვანელობასთან ახლოს ვარ, თუმცა, არ ვიცი რა მოხდება. მე ვუყურებ ჩემს დაკრძალვას სიცოცხლეშივე, მიუხედავად იმისა, რომ გუნდისგან მხარდაჭერას ვგრძნობ“.

„სასულოლთან“ მატჩი გადამწყვეტი იქნება. ვხედავ, რომ გუნდი უკეთესი ხარისხის თამაშს აჩვენებს, თუმცა, არ გვიმართლებს.

ინტერნეტიდან

ანგონელა არ გაიხდის



ცნობილი ამბავია, რომ ლეო მესის ცოლი ანტონელა როკუზო ქმრის დარად ერთობ არაეპატაჟური ვინმეა და სწორედ ამიტომაც არასოდეს თანხმდება ფოტოსტუდიების მსუფთავალებებს – სხვა ცნობილი ფეხბურთელების ცოლების მსგავსად, შენც ფოტოკამერის წინ იპოზირებ და სახელი ამ გზითაც გაითქვით.

როგორც ჩანს, ერთ-ერთი

ესპანური ფოტოსააგენტოს ბოსები მეტად ჯიუტი და შეუვალი ხალხია და ლეოს ცოლს გასაქანი არ მისცეს – სულ რამდენიმე ფოტო მაინც გადაიღე ჩვენს სტუდიებში და პატივისცემა ჩვენზე იყოსო. ანტონელას, ეტყობა, აბეზარი ხალხის თავიდან მოსაშორებლად ცალკეად უთქვამს თანხმობა – იქით კვირაში გამოიარეთო.

ამის მერე დღე ერთი იყო და ანტონელას ტელეფონზე ვარი ათასი – როდის მოხვალ, ჩვენ უკვე მზად ვართ შენს „ჩასაკარტოჩებლად“. ბოლოს და ბოლოს ლეოს ფეხმძიმე ცოლსაც ამოუვიდა ყელში ეს კატათაგვობანა და ოფიციალურად განაცხადა, ჩემ გახდას ვერ ეღირსებოთ!

როსტომ რაჭველიშვილი

საფეხბურთო ტალღა

Advertisement for the Fed Cup Final tennis tournament in Belarus, listing players like Aryna Sabalenka and Aliaksandra Sasnovich.

მინსკში 11-12 ნომბერს ფედერაციის თასის ფინალი გაიმართება, რომელშიც მასპინძლები ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

ბელარუსებს გუნდის ლიდერი ვიქტორია აზარენკა სასამართლო პროცესის გამო ვერ დაესმარება.

მეტოქეთა შემადგენლობები ასე გამოიყურება:

აშშ: კოკო ვანდევეი, სლოან სტივენსი, შელბი როჯერსი, ალისონ რისკე.

ბელარუსი: არინა საბალენკა, ალექსანდრა სასანოვიჩი, ვერა ლაპკო, ლიდია მოროზოვა.

ფედერაციის თასი ყველაზე მეტჯერ (17) სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს მოგებული, ბელარუსი კი ფინალში პირველად გავიდა.

რაჭაელ ნადალმა პარიზის-მასტერსის 1/16-ფინალში ჩინელი ჩანგის დამარცხებით (7:5, 6:3) 2017 წელს მსოფლიო რეიტინგში წამყვან პოზიციაზე დარჩენა გაინაღდა.

კარიერის განმავლობაში რაჭა სეზონს პირველ ნომრად მეოთხედ ასრულებს (2008, 2010, 2013, 2017). ამ მაჩვენებლით ესპანელი ნოვაკ ჯოკოვიჩს, ივან ლენდლსა და ჯონ მაკინროის გაუთანაბრდა. 5-5-ჯერ იყვნენ ლიდერები როჯერ ფედერერი და ჯიმი კონორსი, 6-ჯერ კი – პიტ სამპრასი.

კობა კობახიძე



თუ გულზე ტკივილი იგრძენით...

მსოფლიოში ყოველწლიურად გულის დაავადებებს ყველაზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ავადმყოფების უმეტესობა „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადის მისვლამდე კვდება. ამის მიზეზი შეტევების დაწყებიდან ძვირფასი დროის ფუჭად დაკარგვაა, რაც ხშირად, „ექიმების ტყუილად შეწუხებისგან“ თავის არიდებას მოსდევს.

გულის სისხლძარღვებთან დაკავშირებული ნებისმიერი კატასტროფის დროს მთავარი ფაქტორია დრო. ავადმყოფთა 70 პროცენტი ინფარქტის შემდეგ პირველი 48 საათის განმავლობაში იღუპება. ამიტომაცაა, რომ თუნდაც გულმკერდის არეში მცირე სიძლიერის მომჭერი, მწველი ტკივილის (რაც ინფარქტის მთავარი სიმპტომია) მოთმენა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ყოველი მე-სამე ინფარქტი ყოველგვარი სიმპტომების გარეშე ყალიბდება. ამიტომ, **ექიმისთვის მიმართვის საბაზი უნდა იყოს გულის მდგომარეობის ნებისმიერი გაუარესება.** ყოფილა შემთხვევები, როცა ინფარქტის ერთადერთი ნიშანი იყო კბი-

ლის ტკივილი, ამდენად, ეს სიმპტომიც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ინფარქტის შემდეგ პაციენტები მთელ თვეს საავადმყოფოში ატარებდნენ. ამჟამად ინფარქტიანი პაციენტი შეშინებასაც ვერ ასწრებს – სასწრაფო დახმარება დაახლოებით 20 წუთში მოდის, პაციენტის მკურნალობა 90 წუთში იწყება, საავადმყოფოდან კი წუთდღეში წერენ. მოვლენათა ასე სწრაფ განვითარებას იმ შედეგამდე მივყავართ, რომ **ბევრი ინფარქტს კატასტროფად აღარ აღიქვამს და საავადმყოფოდან განწერი შემდეგ ყველაფრის დაგინებას ცდილობს, რაც სრულიად დაუშვებელია იმიტომ, რომ გულის კატასტროფის გამომწვევი მიზეზები არსად ქრება.**

– **მწვავე კორონარული სინდრომი** – ეს არა შემთხვევითობა, არამედ ორგანიზმში მიმდინარე პროცესები – ათეროსკლეროზის (სისხლძარღვთა კედლებზე ბალთების წარმოშობის) და თრომბოზის (სისხლის შედედების უნარის დაქვეითების) შედეგია. ინფარქტის



შემდეგ ეს პროცესები არ წყდება. სტატისტიკური მონაცემებით, **გადატანილი ინფარქტის შემდეგ პირველ წელიწადს, მეორე შეტევის ალბათობა 10-30 პროცენტს შეადგენს იმ ადამიანებშიც კი, ვისაც მანამდე გულთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ჰქონია,** – განმარტავს ბაკულევის სახელობის გულის სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე, აკადემიკოსი **იური ბუზიაშვილი.**

პათოლოგიური პროცესების შენელება და ამით განმეორებითი დარტყმის რისკის შემცირება, წამლების მიღებით შეიძლება.

– **სისხლძარღვების კატასტროფის გადატანის შემდეგ სამკურნალო პრეპარატების მიღება პაციენტს მთელი ცხოვრების მანძილზე მოუწევს,** მაგრამ, უბედურება ისაა, რომ პაციენტის ამასი დარწმუნება ზოგჯერ საკმაოდ ძნელია, – ამბობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორის მოადგილე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **სიმონ მანკეშვილი.**

ზოგჯერ ისე ხდება, რომ ინფარქტგადატანილ კაცს ყოველდღიურად 5-7 მედიკამენტის მიღება სჭირდება. პაციენტების ენაზე ამას „ორგანიზმის ქიმიით მოწამვლა“ ჰქვია. იმის გამო კი, რომ გულის წამლების (ისევე, როგორც სიცხის დამნევი ან ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების) მიღებას თვალნათლივი ეფექტი არ მოჰყვება, ზოგიერთი მათ უსარგებლოდ, მაშასადამე არასაჭიროდ მიიჩნევენ. ამასთან, წამლის დანართის

გაცნობისას, სადაც ყველა, თუნდაც ერთხელ დადგენილი თანამდევო ეფექტია აღნუსხული. ხშირად პაციენტი შეცდომით ასკვნის, რომ ამა თუ იმ პრეპარატის მიღება სახიფათოა. არადა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ **წამლების მოხმარებაზე უარის თქმა – ხშირად ხელმეორე ინფარქტის წარმოშობის მთავარი მიზეზი ხდება, რა დროსაც სიკვდილიანობის საფრთხე 2,7-ჯერ მატულობს!**


ინფარქტის განმეორების პროფილაქტიკისთვის კიდევ ერთი **უმნიშვნელოვანესი პირობა – ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა,** რის გარეშე ყველაზე თანამედროვე სამკურნალო საშუალებების მიღებას არანაირი სარგებელი არ მოჰყვება.

– **ჯანმრთელობის მდგომარეობა** იმაზე დამოკიდებულია, თუ რამდენად სწორად ააწყო კაცმა ცხოვრების განრიგი, – ამბობს აკადემიკოსი ბუზიაშვილი. – **ჯანმრთელობა, ესაა პირველ ყოვლისა დისციპლინა და ზომიერება ყველაფერში: კვებაში, ფიზიკურ დატვირთვაში და ურთიერთობებში.** გასსოვდეთ: **ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნება კვირაში ერთხელ დარბაზში ვარჯიშს სჯობს.** მეორე მომენტი ის გახლავთ, რომ 40 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ კვების რაციონი, უმეტესწილად, ბოსტნეულისგან, ხილისგან და რძის პროდუქტებისგან უნდა შედგებოდეს. გარდა ამისა, ნურც ის დაგავინყდებათ, რომ ნერვიულობა და სტრესები ორგანიზმს ჟანგით „ჭამენ“. **ყველაზე მანერ ჩვევა კი თამბაქოს მოწვევაა, რომელიც პირდაპირ ურტყამს გულსა და სისხლძარღვებს.**

ინფორმაცია თაბაში

ინფარქტის მთავარი სიმპტომები:

გულმკერდის არეში ან მარცხენა მხარეს მოჭერიითი ხასიათის ტკივილი, რომელიც სტრესის ან ზედმეტი დატვირთვის შემდეგ წარმოიშვება და დიდხანს გრძელდება, რასაც გულის ამოვარდნა, სისუსტე და ოფლიანობა ახლავს.



როგორ უნდა მოიძებნოთ ამ დროს:

დაუყოვნებლივ გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება“. ინფარქტის დროს ეგრეთ წოდებული „თერაპევტული სარკე“ – 6 საათია. იდეალურ შემთხვევაში, მკურნალობა შეტევის დაწყებიდან არაუგვიანეს 90 წუთში უნდა დაიწყოს.

მიიღეთ ნიტროგლიცერინის აბი. ოღონდ გახსოვდეთ, რომ თუკი ეს პრეპარატი არასდროს არ დაგიღვევიათ, მას წნევის დაცემა შეუძლია.

წამოშვებით, შინაანთ საბინაო, მოუშვით ძაბარი და თავი წამოშვით. ნურც ფანჯრის გამოღება დაგავინყდებათ – სუფთა ჰაერის ნაკადთან ერთად ოთახში მეტი ჟანგბადიც შემოვა, რომლის მოთხოვნილება ინფარქტის დროს მკვეთრად იზრდება.

ღრმად ჩაისუნთქეთ და წამოახველით ერთი-ორი წუთის განმავლობაში, რაც გულთან ჟანგბადის მიღწევას გაგაადვილებთ.

ნაგვიანები დედობის პაღლი

ბოლოდროინდელი სტატისტიკით, უკანასკნელ ხუთ წელიწადში მთელ მსოფლიოში იმ ქალბატონთა რიცხვი გაორმაგდა, ვინც 35 წელს გადაცილებულ ასაკში პირველ შვილს აჩენენ. უნდა ამ ასაკს „მონიფულად“, ხოლო შემდეგ, დაგვიანებულად თვლიდნენ.

საგულისხმო ისაა, რომ ამ უაღრესად სასიკეთო და სასიხარულო საქმეში „ტონის მიმცემები“ ცნობილი, წარმატებამიღწეული მანდილოსნები არიან. მაგალითად, მონიკა ბელუჩიმ პირველი ქალიშვილი 39 წლის ასაკში გააჩინა, მეორე – 46 წლის ასაკში, ნიკოლ კიდმანმა პირველად 40 წლისამ იმშობიარა, ხოლო ჰოლი ბერიმ, სელმა ჰაიკმა, კი ბესინჯერმა – 41 წლის ასაკში გააჩინეს შვილები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მშობლების ასაკის მატების შესახებ ცნობების კვალდაკვალ სულ უფრო ხშირად ჩნდება ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ **ნაგვიანებ მშობიარობას უამრავი დადებითი მხარე ახლავს.** ამერიკელი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ქალები, რომლებმაც პირველი შვილები 25 წლის ასაკის შემდეგ გააჩინეს, 90 წლის ასაკს თანატოლებზე უფრო ხშირად აღწევენ.

სხვა გამოკვლევის ავტორმა შევედმა მეცნიერმა დაადგინა, რომ ასაკოვან მშობელთა შვილები სკოლაში უკეთ სწავლობენ, ინგლისელები კი ირწმუნებიან, რომ 40 წელს გადაცილებული დედების გაჩენილი პირმშობები უფრო მაღალი ინტელექტის დონეს ფლობენ, მათ უფრო მდიდარი სიტყვათა მარაგი აქვთ და გაცილებით იშვიათად უჩივიან ჭარბ წონას. მოკლედ, ნაგვიანები შვილები, თავიანთ თანატოლებთან შედარებით, ცხოვრების ყველა სფეროში გაცილებით წარმატებული არიან.

მაგრამ მეცნიერებს მაინც აინტერესებთ, რამდენად რეალურია კავშირი მშობლების ასაკსა და ბავშვის წარმატებებს შორის? თუ ყოველივე, უბრალოდ, თანამედროვე ქალბატონთა ეგოისტური მოქცევის გამართლებების მცდელობაა (რომელთა შორის, ცხადია, მრავლადაა მეცნიერი და მკვლევარი!), რომლებსაც ჯერ „თავისთვის“ სურთ იცხოვრონ, კარიერა ააწყონ, კეთილდღეობას მიაღწიონ და ბავშვების გაჩენაზე მხოლოდ მერეღა ფიქრდებიან.

თანამედროვე საზოგადოებაში ქალ-ვაჟებში „ყმანვილური ასაკი“, რაც ხშირად 20 წლამდე იჭიმება, უკვე ტენდენციად იქცა. ამჟამად საკმაოდ იშვიათობაა, რომ სწავლის პარალელურად სტუდენტი მუშაობდეს, უმრავლესობას მშობლები ეხმარებიან, სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების „უფროსად“ გახდომის ვადა იწევს, რასაც ოჯახის შექმნისა და, ბუნებრივია, შვილის გაჩენის ასაკიც მისდევს. 10-15 წლის წინათ ახალგაზრდობას მიაჩნდა, რომ დაქორწინება 19-20 წლის ასაკში უნდა, ამჟამად კი მამაკაცებს საამისოდ იდეალურ ასაკად 27 წელი ითვლება, ქალებს – 23 წელი. შესაბამისად, რეალურად ქორწინდებიან 26-28 წლის ასაკში, თანაც შვილების გაჩენას ოჯახის შექმნისთანავე არ ჩქარობენ და 30 წლის ასაკს ელოდ-



ბიან. ამის მიზეზი მრავლადაა, მაგალითად, ახალგაზრდა ოჯახების უმეტესობა იპოთეკურ სესხს იღებს, თანაც უფროს ასაკში მშობლებს ბავშვის უკეთ განვითარების, მისი უკეთეს პედაგოგობთან ტარების, უკეთეს სკოლაში მიზარების მეტი საშუალება აქვთ.

მაშასადამე, გამოდის, რომ **ნაგვიანები შვილების ნიჭი განპირობებულია არა მშობლების ასაკით, არამედ დიდი ხნის ნანატრ და საგულდაგულოდ „დაგვგმილ“ პირმშოზე საგანგებო ზრუნვით და საამისოდ შესაძლებლობების არსებობით.**

არადა, ბევრი ავტორიტეტული ექსპერტი არც თუ უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რომ **წარმატება – ესაა მრავალი ხელშემწყობი პირობის თანხვედრა,** რომელთა დაგეგმვა და, მით უმეტეს, გაკონტროლება შეუძლებელია. ამდენად, შეიძლება იმის თქმა, რომ ნაგვიანებ მშობიარობაში გარკვეულ პლუსებიცაა და მინუსებიც: ახალგაზრდა მშობლების ბავშვები სოციალურად უფრო აქტიურები არიან, შედარებით ასაკოვნების შვილები კი უფრო მეტად ახერხებენ სა-

კუთარი თავის გაკონტროლებასა და დისციპლინის დაცვას. თანაც გასათვალისწინებელია, რომ 40 წლის შემდეგ გაჩენილი შვილების უმრავლესობა, დედისერთად რჩებიან, ხოლო, თუ მემკვიდრე ერთადერთია, მასზე მშობლები იმედს გაცილებით მეტად ამყარებენ. ამდენად, ნაგვიანები მშობლობა არც საშიშია და არც რაიმე გამორჩეულად გარანტირებული შედეგი ახლავს.

გვერდი მოამზადა ოთარ ტურაბალიძემ

ეპიტაფია

დავით სარიშვილის მოსაგონარი

4 ნოემბერს ერთი წელი შესრულდა დავით სარიშვილის... მოსაგონარი... დავით სარიშვილი... მოსაგონარი...




ბატონმა დავითმა უწყების მუშა-მოსამსახურეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მოსკოვიდან სახსრების მოზიდვით ააშენა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები... დავით სარიშვილი...

საქართველოს „სოფლტექნიკის“ გაერთიანება კომიტეტში თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში ბატონმა დავითმა წარმატებით დაწერა სოფლის მეურნეობის მოსახურების პროგრესული მეთოდები, როგორც იყო კომბაინების, ტრაქტორების, მანქანა-იარაღების აწყობა-გამაგებებელი სახით მეურნეობებში შეტანა; უწყების ავტოტრანსპორტით სასუქებისა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა შეზიდვა, რაც დიდ შვებას აღწევდა კოლმეურნეობა-მეურნეობებს. შემოტანილი და დაწერა იქნა მაღალმწარმოებლური ახალი ტექნიკა, როგორც იყო სოიოს, ლობიოს, სიმინდის ამლები კომბაინები და სხვა. რთვლისათვის არსებითად შეიცვალა ზერებიდან ღვინის ქარხნებამდე ყურძნის ავტოტრანსპორტით გადაზიდვის ორგანიზაცია. ეს სიახლე პირობითი სახელწოდებით — „რთველი ავტომატიკა“ გულისხმობდა ავტოსარემონტო სახელოსნოებითა და რადიოტელეფონებით სამუშაო ზონების აღჭურვას, რათა მობილურ სახელოსნოებთან რადიოკავშირით რთველზე მიმავრებული ავტოკოლონები ტექნიკურად მზადყოფნაში ყოფილიყო. ასევე სიახლე დაინერგა მარცვლეული ალების საქმეში: შეიქმნა კომბაინერთა რაზმები თითოეული 10-15 კომბაინით; კომბაინები გადაადგილდებოდნენ აღმოსავლეთიდან (სადაც თავთავიანები შედარებით ადრე მწიფდებოდა) სამხრეთ-დასავლეთით რეგიონებში მარცვლეულის მწიფობის კვლადაკვალ, რამაც შესაძლებელი გახდა მიზერული რაოდენობის კომბაინებით მოსავლის ოპტიმალურ ვადებში აღება-დაბინავება. აღნიშნული და სხვა სიახლეები საბჭოეთის მასშტაბითაც შესწავლა-დაწერის საგანი ხდებოდა. საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდა საკავშირო მინისტრი ეფუესკი, რაც მაშინ რესპუბლიკისთვის დიდი პატივი იყო.

ყოფილი „სამსახელოსოფლტექნიკის“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელთა ჯგუფი

სანთელი

მეუღლე ეთერ გიორგობიანი, შვილები დიმიტრი, ჯანო ბროძელები ოჯახებით იუნჯებიან, რომ გარდაცვალა



იოსა (ჯიში) ბროძელი

პანაშვიდი: 5.XI, 17 სთ. ტოვსტონოგოვის №9, 6.XI, 16 სთ. საბურთალოს ამალელების ეკლესიაში; დაკრძალვა 7.XI, 14 სთ. გამოსვენება საბურთალოს ამალელების ეკლესიიდან.

ნანული (ნანა) გუნია, ედუარდ კავთიძე, გიორგი ლაგვილავა, ნინო ჯანჯღავა გულისტყვილით თანაუგრძნობენ გამოცემლობა „სვეტის“ დირექტორს მარინა მარკოზაშვილს ბიძის

იოსა (ჯიში) ბროძელის

გარდაცვალების გამო.

სსოვნა ვაჟკაცი კასისა

გარდაიცვალა ჯიში ბროძელი — მართლაც მესხის გავარდნას ჰგავდა ეს ცნობა არა მარტო მისი მეგობრებისა და ახლობლებისთვის, არამედ ყველა მათგანისთვის, ვინც იცნობდა, ვინც თუნდაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება ამ უსპეტაკეს და ვაჟკაც კაცთან. ერთიანად დაგვწყვიტა გული ყველას. ძნელია სამეგობროსა და საზოგადოებაში დაიშვიდრო ისეთი სახელი, რომელიც მას ჰქონდა. განათლების სფეროში წლების მანძილზე მუშაობდა და არცაა გასაკვირი, რომ ამგვარი ერთდირებული, ინტელექტუალური და თბილი ყოფილიყო. მის სახელსა და კაცობას არავითარი ლაქა არ მოსცხებია. ცხოვრობდა სიკეთისა და სიყვარულისთვის, ოჯახისა და საახლობლოსთვის, თანაქალაქელებისთვის. ცხოვრობდა მათი ჭირისა და სიხარულის გაზიარებით, ამიტომაც მის სახელს დავიწყება არ უწერია.

უახლოესი მეგობრები: ჯემალ ცერცვაძე, ანტონ თორნია, გურამ კაკულია, ლიბა ჯიანი, ავთანდილ მიქაძე, ზუსკა ზაქაძე, კუკუშა გვასალია, საშა ჩივაძე, ვიხალი ბრძოლიშვილი, სპარტაკ ხუნდაია, შალვა მგალობლიშვილი, ჯემალ შაშაძე, ელიზბარ ლომინაძე, გიგუ მუშაქიანი, მურიკო თორნიაძე, რამო შულღიაშვილი, გახარ ავალიშვილი, ავთო კიბიჭაძე, სოსო მელქაძე, აგაპ მანტაძე, თამარ ლაშვილი, თინათინ პალანაძე, გურ ალიანი.

ზოია გაბაძე, ცეზარ ლაშვი, კახაბერ, თეა ლაშვი დიდი მწუხარებით იუნჯებიან სიძის, ღირსეული მამულიშვილის

კობა კუტალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 XI, 15 სთ. ქალაქ საჩხერეში. გამოსვენება წმინდა ნინოს ეკლესიიდან.



ჩუღურეთის რაიონში 500 ხე-მცენარე დაირგვება

საშემოდგომო გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში გამწვანების აქცია გაიმართა. გამწვანების აქციაში მონაწილეობა თბილისის მერის მოადგილემ გიგა ნიკოლეიშვილმა, ჩუღურეთის მაჟორიტარმა დეპუტატებმა პარლამენტიდან და საკრებულოდან გიორგი ვოლსკიმ და რიმა ბერაძემ და რაიონის გამგებელმა ზურაბ ჩიკვილაძემ მიიღეს. რაიონის გამგეობის დაკვეთით, ჩიტაიას, ნორიოს და ტერენტი გრანელის ქუჩებზე მდებარე სკვერებში სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარე და დეკორატიული ბუჩქები დაირგო. საშემოდგომო გამწვანების ფარგლებში ჩუღურეთის რაიონში სულ 500 ხე-მცენარე დაირგვება.

„ქალის ხედვა საქართველოდან“ ბერმანის კინოფესტივალზე

ბერმანის კინოფესტივალზე „დოკლაიპცივის“ ფარგლებში გაიმართა პანელი დისკუსია სახელწოდებით „ქალის ხედვა საქართველოდან“. დისკუსია ლაიპციგის ფესტივალის ინიციატივით და ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით ტარდება. მოდერატორი — ზაზა რუსაძე. მონაწილეობდნენ: სალომე ჯაში, ნინო ლუქავა (ჰაინრიხ ბიოლის ფონდი), ანა ძიპაშვია, სალომე მაჩაიძე. დისკუსიის თემაა თანამედროვე ქართული კინოს ტენდენციები და ქართველი ქალი რეჟისორები, რომლებსაც ბოლო დროს დოკუმენტური კინოში განსაკუთრებული როლი აქვთ. გენდერული კონტექსტის გარდა, დისკუსიისას განიხილეს ასევე ქართული კინოს თავისებურებები, დაფინანსების პრობლემები და ბოლო პერიოდის აქტუალური ფილმები. ლაიპციგის ფესტივალის წარმომადგენლებს აზრით, ქართული კინოში გეოგრაფიული საზღვრები გაარღვია და „ახალი ქართული ტალღის“ სახელით დაიშვილდა თავი.



გადაჭრილი თოფი, ხელყუხუხაკა, პაწეხი, ღანა...

პრიმიტიული პოლიციამ ახალგაზრდა მამაკაცი დააკავა, რომელსაც მანქანით იარაღი გადაჰქონდა. ავტომობილის ჩხრეკისას სამართალდამცავებმა გადაჭრილი თოფი, ხელყუხუხაკა, ვაზნები და ღანა ამოიღეს. აღმასწავლებლის ხეივანში გვიანობამდე მუშაობდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები. დაკავებული მამაკაცი სამართალდამცავებმა წინასწარი დაკავების იზოლაციაში გადაიყვანეს.

პულოსაკით!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, გონდო ქოჯულია, ივიკო საყვარელიძე, მირაზ მახარაძე, გურამ ახარაძე, თამაზ ყაჭი-იშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმაგიერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გომინაშვილი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის პარტიულ და სამეურნეო, ელიტური საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელს, წყალთა მეურნეობის დარგის უმაღლეს სპეციალისტსა და მის დიდ ქომავს, „სილქ-როუდ გრუპის“ თბილისის წარმომადგენლობის თავკაცს, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორს, პროფესორს, ძმობისა და მეგობრობის უბადლო ოსტატს და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

გია რამიშვილს.

გუკინისტი იყიდის:



მე-18-მე-19 საუკუნეებში გამოშვებულ წიგნებს – 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს – 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945

წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრაფიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს. 591-75-35-38.



გონიერი სირაქლეები

ყველა ჩვენგანს არაერთხელ სმენია გამოთქმა „შიშისგან სირაქლე-მასავით თავს ქვიშაში რგავსო“.

ეს მართლაც ასეა, თუმცა მტაცებლებისგან დამალვისას სირაქლეები თავს სილაში კი არ რგავენ, უბრალოდ, მას კისერთან ერთად მიწაზე დებენ, რითაც შორიდან ბორცვს ემსგავსებიან. ამდენად, ამ ფრთიანი გამოთქმის საფუძველი საშიშროების წარმოშობისას ფრინველის ეს ქცევა გახდა, ხოლო უშუალოდ საფრთხის შემთხვევაში ის მთელი სისწრაფით გარბის.



გაუფრთხილდით ხერხემალს!



მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბევრ ჩვენს ყოველდღიურ, ჩვეულ მოქმედებას ხერხემლისთვის დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

ილინოისის უნივერსიტეტში (აშშ) ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ერთი შეხედვით ისეთი საქმიანობა, როგორც კბილების გამოხევა, ჭურჭლის რეცხვა, ფეხსაცმლის ზონრების შეკვრა და ა.შ. რისთვისაც ფეხზე დგომა საჭირო, ხერხემალზე დიდ დატვირთვას იწვევს, რაც ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

კბილების გამოხევის დროს მეცნიერები თავისუფალი ხელის ნიჟარაზე, სარკეზე, კარადაზე – ერთი სიტყვით ნებისმიერ მსუბუქ საყრდენზე ჩამოედება გვირჩევენ.

ჭურჭლის რეცხვისას კისერი და წელი ნახევრადმოხრილი გვაქვს, რა დროსაც მკერდის განყოფილების ხერხემლის მალეშა შემაერთებელი ქსოვილი იხეხება. ამიტომ ექიმები მუხლქვეშ სკამის დადგმას გვირჩევენ, რაც ხერხემალზე დატვირთვას შეგიძლებუქვთ. ფეხსაცმლის ზონრების შეკვრა კი დამჯდარზე სჯობს, რა დროსაც ეცადეთ, ფეხი შემოიკეცოთ, იატაკიდან ბავშვების ან სიმძიმის აწვევისას კი ფეხები მუხლებში მოხარეთ.

განსაცინებელი ა(მ)ბები

ნაქვის ხის ექო

– ბიძია, იცით რა, თქვენი ნაჩუქარი საყვირი ყველაზე ძვირფასი ნაჩუქარია, რაც კი ნაქვის ხისთვის მიმიღია.

– ჩემ გარდა ხომ სხვებმაც გაჩუქეს ბევრი ლამაზი რამ?

– კი, ბატონო, მაგრამ მამაჩემი ყოველდღე ხუთ დოლარს მაძლევს, ოღონდ თქვენს ნაჩუქარ საყვირს არ ჩაებნო.

ტაქტი

ჰარისკაპტინის მთელი ოჯახი საავტომობილო ავარიის დროს, ოფიცირმა სერჟანტს დაუძახა და უთხრა:

– გააგებინეთ მაგ საწყალს, ოღონდ რაც შეიძლება ტაქტიანად!

– არის, ჩემი იმედი გქონდეთ! სერჟანტმა დაამწკრივა თავისი ოცუული და უბრძანა:

– რიგითო, ვისაც მთელი ოჯახი დაეღუპა საავტომობილო კატასტროფაში, ერთი ნაბიჯი წინ!

მწკრივი მწკრივად დარჩა. ნაბიჯი არავის გადმოუდგამს. სერჟანტმა ისევ გასცა ბრძანება:

– ჯარისკაცო პუჟან, ბრძანების შეუსრულებლობისთვის დასჯილი ხარ ორდღიანი პაუზტვანტით.

ხუმრობა იქით იყო

ერთხელ მარსელის სასამართლომ სამ ყაჩაღს ჩამოხრჩობით სიკვდილი მიუსაჯა. ზღვის პირას სამი სახრჩობელა აღმართეს. ორი სასჯელმისჯილი პარიზელი იყო და მდიდარი ნათესავები ჰყავდათ, რომლებმაც ჯალათი მოისყიდეს. ჯალათმა მათი თოკები მცირედ ჩაჭრა.

დადგა სასჯელის აღსრულების დრო. ჯალათმა ჯერ ის ორი პარიზელი ჩამოჰკიდა, მაგრამ თოკმა ვერ გაუძლო სიმძიმეს და ყაჩაღები ზღვაში ჩაცვივდნენ. მაშინ მესამემ, წარმოშობით მარსელელმა, ჯალათს მიმართა:

– თუ შეიძლება ჩემთან არ

იხუმროთ, ღმერთმანი, ცურვა არ ვიცი...

მარგალიტი

განცხადება გამოვაქვეყნეთ, რომ შინამოსამსახურე გვჭირდებოდა, მოვიდა მავანი შუახნის ქალი.

– თქვენთვის არაფრის დამალვას არ ვაპირებ, – უთხრა ცოლმა, – პირობები ჩვენთან ადვილი არ გეგონოთ. თვეში მხოლოდ ორჯერ დაისვენებთ.

– მე საერთოდ არ ვიცი უქმე დღე რა არის.

– ბავშვი ორი გვყავს, პატარები არიან, სკოლაში წაიყვანთ და მოიყვანთ.

– მერე რა, მე ძალიან მიყვარს პატარები.

– ამის გარდა, დიდი რეცხვა მოგიწევთ, ჩვენ თეთრეული სამრეცხაოში არ მიგვაქვს.

– მართალი რომ გითხრათ, რეცხვა მართლაც ძალიან მიყვარს!

– თვეში რა თანხას ითხოვთ? – თქვენ რამდენიც გინდათ, იმდენი მომეცით.

– შენ ვინ ყოფილხარ! – შეჰყვირა ცოლმა, – ნამდვილი მარგალიტი ხარ შინამოსამსახურეთა შორის! ბოლო ადგილიდან რატომ წამოხვედით?

– რატომ და ვერაფრით ვერ დავარწმუნე ის ოჯახი, რომ ნაპოლეონის კანონიერი ცოლი ვარ.



ვილთოკაო, ოქვენ მოიგეთ ჯეკ-პოტი.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
REPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოჯულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
599 53-76-16;

ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„ქოლორ პრესი“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ
შეუკვეთავი მასალა
დაიბეჭდება ავტორ-
თა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შესაქალაქ, გუდა
არ ემთხვეოდეს
რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს აგებენ
ავტორები.

„საქართველოს
რესპუბლიკა“
შენი გაზეთია,
უსილებლად
წაიკითხე!

საქართველო	რედაქციის მისამართი:
	საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა
	საბურთალოს რაიონი, სულხან-საბას ძ. №3
	ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
	ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

საბჭოთა პალატის კონს:	აივნი 4 ნომერისთვის
საბჭოთა პალატის კონს:	საბჭოთა პალატის კონს:
საბჭოთა პალატის კონს:	საბჭოთა პალატის კონს:
საბჭოთა პალატის კონს:	საბჭოთა პალატის კონს:
საბჭოთა პალატის კონს:	საბჭოთა პალატის კონს:

დავითაძე, მოგონათ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge